

ხალგაზრდა ვეროელი

19

თბილისი

1991

№ 118-119-120

(11751-52-53)



1921 წლის
თებერვალი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

მასშტაბი 1:1

გაბაისილოვთა პირველი სამართლის სივრცის მონაწილე

მალაბრინა და ბატონო!
კავკასიურ ენათა შესწავლა მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემაა. კავკასიის შედარებით მცირე მიწა-წყალზე ხომ სხვადასხვა ენის 50-მდე ენაა წარმოდგენილი. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფია, რომელიც 30-ზე მეტ ენას ითვლის.
ამ ენათა შესწავლას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. განსაკუთრებით ძლიერდება იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა ივ. ჯავახიშვილის მიერ 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ. ივ. ჯავახიშვილის მოწოდებით და მოწოდებით მოწოდებით ძალიან მალე ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თბი-

ლისური სკოლა, რომელსაც 50 წლის განმავლობაში სათავეში ედგა დიდი ქართველი მეცნიერი არნოლდ ჩიქობავა. გამოიცა მრავალი მონოგრაფია და კრებული, მომზადდა სათანადო სამეცნიერო კადრები როგორც საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის.
მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ჩრდილოეთ კავკასიაში მომუშავე მეცნიერებმა მათი რეგიონის ენათა კვლევის საქმეში.

დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა XIX საუკუნეში ცალკეულ ენათმეცნიერთა საქმე იყო. ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან კი ამ ენებით დაინტერესება ფართო ხასიათს იღებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ გერმანელი, ფრანგი, ამერიკელი, ინგლისელი და ზოგი სხვა ქვეყნის მეცნიერთა წვლილი.
ამჟამინდელი თქვენი შეკრებაც შედეგია კავკასიის ენობრივი სამყაროს დაინტერესებულ პირთა სიერო ნებისა. მინდა მადლობა მოგახსენოთ სიმპოზიუმის ყველა მონაწილეს, განსაკუთრებით — სტუმრებს, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკისათვის ამ მძიმე ემს, არსებული ობიექტური სიძნელეების მიუხედავად, შესაძლებლად დაინახეს ჩამოსულიყვნენ თბილისში.
სიმპოზიუმის მონაწილეებს ვუსურვებ ნაყოფიერ მუშაობას! ჯალბარჯის კავკასიის ხალხთა ერთობასა და თავისუფლებას!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ვიკტორ გუგუშვილი

1991 წლის 14 ოქტომბერი.



მოსკოვში შეიკრიბნენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ლიდერები ახალი ეკონომიკური ხელშეწყობის ხელშეწყობის შეთანხმება ითვალისწინებს ცენტრალიზებულ საბაზო სისტემას, ერთიან ვალუტას და ერთიან სავაჭრო სტანდარტებს, რომელსაც დასავლეთი აუცილებლად მიიჩნევს საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიკური დახმარების გასაწყვეად. რუსეთმა და უკრაინამ გააკრიტიკეს ახალი ხელშეწყობის პროექტი. მრეზიდენტმა პ. ჯორბაჩოვმა გაითვალისწინა ის შესწორებები, რომლებსაც მოითხოვდა ბ. ელცინი. რუსეთი და რესპუბლიკების უმრავლესობა აპირებენ ახალი ხელშეწყობის ხელშეწყობას, უკრაინის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტმა კი გადაწყვიტა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას ეკონომიკურ კავშირში რადგან მისი შენიშვნები შეთანხმების ტექსტის მიმართ არ იყო გათვალისწინებული. ამის შესახებ განაცხადა ზუთშაბათს უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ლ. კრავჩუნი. ამ რესპუბლიკის დელეგაციას ცერემონიის დასრულება მხოლოდ მეტეაქტურობის სახით.
ბი-ბი-სის მოსკოველი კორესპონდენტი აღნიშნავს რომ, როგორც ჩანს, უკრაინის არ სურს ხელი მოაწეროს რაიმე ხელშეწყობის ცენტრთან, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რესპუბლიკის სუვერენიტეტს. ეს გადაწყვეტილება განხილვება როგორც მ. გორბაჩოვის პოლიტიკის წარმატებლობა, მითუმეტეს, რომ ეკონომიკურად უკრაინა ყველაზე განვითარებული რესპუბლიკაა რუსეთის შემდეგ.
როგორც დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, საქართველომაც ასევე განაცხადა, რომ არ აპირებს ხელშეწყობის ხელშეწყობას, ხოლო მოლოდინის პრეზიდენტმა მ. სევერმა მხარი დაუჭირა შეთანხმებას, მაგრამ უარი თქვა, მონაწილეობა მიეღო იმ პოლიტიკური ორგანიზაციის თათბირში, რომელიც ხელშეწყობის ტექსტზე მუშაობენ.

დალბასია მოსკოვს არ ნაპიდა...

რომლის პრესაში იუწყებოდნენ, ამა წლის 18 ოქტომბერს მოსკოვში განზრახულია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური შეთანხმების ხელმოწერა. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს წინადადეს სიაღმოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომ-

იკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე გივი თაქთაქიშვილი უთხრა, ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია არ წავა მოსკოვში, მეთვალეუარედაც კი. მისი თქმით, ამ ეტაპზე, სანამ გათვალისწინებული არ იქნება საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების, მთავრობის მიერ გა-

მოქმედი შენიშვნები შეთანხმების პროექტის ცალკეული დებულებების თაობაზე, რომლებიც ბოლავს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ლაბარაკი არ შეიძლება ეკონომიკურ შეთანხმებაზე, მასში საქართველოს რესპუბლიკის მონაწილეობაზე.

საინფორმაციო

ქრონიკა

- საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა: **თინათინ ვასილის ძე ვაიბაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად შიდა ქართლში.
- როინ ვიპტორის ძე ვაიბაშვილი** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად.
- პიპო პარიშის ძე ახვლედიანი** — ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად.
- მარბა იანონის ძე ღვინვაშვილი** — ქ. ტყუბულის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

უნივერსიტეტის სტუდენტთა საჭურავლო

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აუწყებს პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, რომ სასწავლო წელი დაიწყება 1991 წლის 21 ოქტომბერს, ორშაბათს.
უნივერსიტეტის რექტორი
ამავე დღეს განახლდება სწავლა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სომხეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგები მოწოდებს, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ლევონ ტერ-პეტროსიანი არჩეულია რესპუბლიკის პრეზიდენტად. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების დაახლოებით 80%. არჩევნებში მონაწილეობდა სომხეთის მოსახლეობის 69%. წინასწარჩვენო კამპანიის დროს მთავარი ყურადღება კონცენტრირებული იყო სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხზე, შეგანსებებით, რომ გასულ თვეში ჩატარებულ რეფერენდუმში მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის იდეას.
ვაჩაურობენ, რომ ლ. ტერ-პეტროსიანი ხელს მოაწერს ეკონომიკური ხელშეწყობის, თუმცა ამავ დროს ის გამოის ახალ პოლიტიკურ კავშირში სომხეთის მონაწილეობის წინააღმდეგ.
დაიწყო საბჭოთა სავაჭრო საქმეთა მინისტრის ბ. მანკინის ვიზიტი ახლო აღმოსავლეთში, სადაც უკვე იმყოფება აშშ სახელმწიფო მდივანი ჯ. ბიეკერი ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით. კონფერენციის ჩატარების ამჟამად ხელს უშლის მალესტინელთა წარმომადგენლობის საკითხი და საბჭოთა კავშირ-ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობა. ზუთშაბათს მ. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი აღადგენს დიპლომატიურ ურთიერთობას ისრაელთან, როცა გამოცხადდება კონფერენციის გახსნის თარიღი.
ნიდერლანდების სავაჭრო საქმეთა მინისტრმა პ. ვან დენ ბრუქმა გერმანულ გაზეთ „ველტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: რომ ორი თვის შემდეგ ევროპის თანამეგობრობამ შესაძლოა ცნოს ხორვატისა და სლოვენის დამოუკიდებლობა, თუ ამ დროისათვის იუგოსლავიის კრიზისი არ მოწესრიგდება. ამასობაში იუგოსლავიის ფედერალურმა არმიამ განაახლა შეტევები ხორვატის ქ. დუბროვნიკზე, ასევე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქის — ვუკოვარის გარშემო, პაავაში მუშაობა განაახლა სამშვიდობო კონფერენციამ ევროპის თანამეგობრობის ეგიდით, რომელიც იუგოსლავიის საკითხს განიხილავს.
ბულგარეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების საბოლოო, თუმცა ჯერჯერობით არაოფიციალური შედეგები ცხადყოფს, რომ წამყვანმა ოპოზიციურმა მოძრაობამ — დემოკრატიულ ძალთა კავშირმა მცირე უპირატესობით გაიმარჯვა სოციალისტურ (ყოფილ კომუნისტურ) პარტიაზე. მან მიიღო ხმების 34%, ანუ 1%-ით მეტი, ვიდრე სოციალისტებმა. უფლებათა და თავისუფლებათა მოძრაობამ, რომელიც ბულგარეთის თურქი უმცირესობის ინტერესებს გამოხატავს, მიიღო ხმების 8% მიმომხილველთა აზრით, სოციალისტების დამარცხებაში გადაწყვეტი როლი შეასრულა მოსკოვის პუტჩმა. იუგოსლავიაში ბულგარეთის მმართველმა სოციალისტურმა პარტიამ დროულად არ დაავო პუტჩისტები და საკმაოდ ორატორიანი პოლიცია დაიკავა.

იანა თაყაიბაშვილი

ეკონომიკა და პოლიტიკა

(ღია წერილი ბატონ ბესარიონ გუგუშვილს)

ბატონო ბესარიონს დღევანდელი პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ, იმაშიც უნდა ვეძებოთ, რომ ვერა და ვერ მოხერხდა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა — კოლონიურიდან ეროვნულ ეკონომიკაზე გადასვლის კონკრეტული პროგრამის შემუშავება. ჩვენ დღე-ღამეობრივად იმ უსაქმო კაცის როლში აღმოვჩნდით, რომელსაც ღობე-ყურები მოდებოდა, ღირებულებები ვერაფერი მოუძებნია. ასეთი ღირებულებები საქმე კი, პირველ რიგში, აღმასრულებელმა ხალხივლებმა უნდა მოუძებნოს ერთსაც და ქვეყანასაც — ახლობით და ათასობით პექტორს მიწა არ უნდა ჩრჩობდეს დაუხანავი და დაუთესავი. ასეთი „ეკონომიკური პოლიტიკა“ კატასტროფამდე მივყავართ.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკა რეგიონალურ ეკონომიკათა განვითარებას ეფუძნება, მათი თავისებური ურთიერთგამაზირობებელი მათემატიკური ჯამია: „სახალხო მეურნეობა“ იმდენად უჭვეია, რომ იგი ხალხს ენერჯისა და თვითმოქმედებას უნდა დაეყრდნოს და არა სამეურნეო-ადმინისტრაციულ ბიუროკრატებს. ისიც აქსიომაა, რომ ეროვნული ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება თანდათან არის დაკავშირებული ტრადიციულ სამეურნეო დარგებთან და ამასთან, საერთაეროვნული პოლიტიკის გამოშუშებებთან. საქართველომ ეს-ესა დაიწყო ასეთი პოლიტიკის წარმოება და დიდი, გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელობა აქვს მის სწორ გააზრებას ეროვნული ეკონომიკის მიმართებით. დღეს ჩვენ ვინც ვხვდებით საშინაო პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან მომენტს, როგორც ქვეყნის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

ფიქრობ, საყმათო არ უნდა იყოს ის, რომ მეტროპოლისის მიერ თავსამხრეული ქვეყნის ცენტრალურებულ დარაიონების ბიუროკრატული სისტემა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ახალი სახელმწიფოებრიობის შემენებლობას. საქართველოს არ სჭირდება 70-მდე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება — იგი შიმში ტვირთად აწევს ხალხს და ქვეყანას, ბორკავს შწარმოებელი ძალების განვითარებას, განუწყვეტელი წარმოების რანტიანთა პარაზიტულ ფუნქსიას. ამიტომ კოლონიური მეგვიდრობიდან მიღებული ბიუროკრატული სამეურნეო-ადმინისტრაციული სტრუქტურების ნგრევა ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად გვესახება. მასზე ბევრწილად იქნება დამოკიდებული გარდამავალი პერიოდის საქართველოს საერთო წარმატება.

ამასთან, ჩვენ ისიც კარგად ვგეგმავს, რომ დღევანდელ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში ახალ სამეურნეო-ადმინისტრაციულ სტრუქტურებზე ერთბაშად გადასვლა ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ აქაც აჯობებს გამოვიყენოთ თანდათანობითი, ეტაპობრივი რეფორმის ტექნიკა. კერძოდ, დასაწყისისათვის შეიძლება ავირიოთ ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი საერთაეროვნული ღირებულების პრიორიტეტული მიმართულებანი შედარებით მცირე მასშტაბის რეგიონებში.

ქიზიყის ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა დაამუშავა ამ მხარის სამეურნეო აღორძინების დეტალური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა, რომლის განხორციელება ჩვენ გადაუდებლად ამოცანად მიგვაჩნია მოახლოებული ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდან. მოკლედ გადმოვიცემ ამ პროგრამის ძირითად მომენტებს:

ა) პროგრამის ყველაზე არსებით მომენტს საქართველოს მარცვლელი პროდუქტებით მომარაგების პრობლემის გადაწყვეტა შეადგენს: საქართველოს ეკონომიკური ისტორია ვეგეტაციებს, რომ სწორი სამეურნეო პოლიტიკის პირობებში, საქართველოს ყოველთვის შეუძლია მარცვლელის საკუთარი რეზერვების შექმნა. ხულ რაღაც 100-ოდე წლის უკან ხომ აღმოსავლეთ საქართველო ქერისა და ხორბლის, დასავლეთ საქართველო კი, ღობისა და სიმინდის ექსპორტორი იყო...

მოგეხსენებათ, სიღნაღის რაიონი წარმოადგენს საქართველოს ძველი ისტორიული მხარის — ქიზიყის (კამბეჩოვის) ერთ-ერთ რაიონს. მეორე რაიონს კი — დედოფლისწყაროს, ხოლო ქიზიყთან ერთად, პერეთის ძველი მხარეა დღეს საქართველოს საზღვრებში მხოლოდ ერთი — ლაგოკების რაიონია, (დანარჩენი ორი — ზაქათალისა და კახის რაიონები დღესათვის აზერბაიჯანის საზღვრებშია მოქცეული).

თანამედროვე ქიზიყ-პერეთის ეს სამი რაიონი ბუნებრივი სახით ერთიან ეკონომიკურ რეგიონს ქმნის, რომლის ეკონომიკურ და, ამასთან, გეოგრაფიულ ცენტრსაც წარმოადგენს, როგორც სარკინოვო და საავტომობილო გზების შემკრები სკვანძო პუნქტი. აღნიშნული რეგიონი ალაზნის ველით, ივრისპირეთით და განსაკუთრებით, შირაქით ოდითგანვე საქართველოს თავისებურ, „პურის ზედღელს“ წარმოადგენდა. სწორედ ამ მხარის წყალობით იყო, რომ ქვეყანა არა თუ იქმყოფილებდა საკუთარი ბურთით მოთხოვნილებას, არამედ 1913 წლამდე ექსპორტზეც კი ვაჭრობდა. ამ ექსპორტის 75 პროცენტი კი სწორედ სიღნაღის მხარეზე (დღევანდელი სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ლაგოკების, ზაქათალის და კახის რაიონები), მოდიოდა.

მხარის ძველი ადმინისტრაციულ-ეკონომიკური და-

რეგიონების აღდგენა ხელს შეუწყობს კოლონიური მონოკულტურისაგან დაკარგული პურეული მომარაგების აღდგენას. ეროვნული ეკონომიკის აღდგენას. კერძოდ, ასეთ პირობებში ხორბლისათვის ხელსაყრელი მიწები აღმოჩნდება ერთი პატრონის ხელში, სადაც რჩენი არიან, უნდა შეიქმნას ერთი დიდი მრავალგანსაკუთრებული სახელმწიფო კორპორაცია პირობითი სახელწოდებით — „შირაქი“, რამეთუ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, პურის ყანების დამუშავება ყველაზე ეფექტურად კორპორაციული მეთოდებით არის შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ისტორიულადაც ეს ვრცელი მიწის ფართობები კერძო-გლეხურ მფლობელობაში კი არ იმყოფებოდა, არამედ სოფლებს (უბნებს) შორის გარკვეული კოლექტიური გაერთიანებების გზით მუშავდებოდა. წინასწარი გაანგარიშებით ამ გზით საქართველომ უახლოეს ხანში უნდა მიიღოს მილიონ ტონამდე მარცვლელი, ხოლო ახალი ტექნოლოგიის დანერგვის პირობებში, მასზე გაცილებით მეტაც.

თუ კი პრინციპში მოიწონებთ ამ იდეას, ჩვენ მზად ვართ წარმოვადგინოთ უფრო დამუშავებული წინადადებანიც.

ბ) ქიზიყ-პერეთის ერთ ადმინისტრაციულ მხარედ გაერთიანება არ შეიძლება კეთილნაყოფიერი გველენა არ მოახდინოს მხარის ეკონომიკის მეორე დიდი დარგი — შევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზეც, კერძოდ, მისი საექსპორტო კონდიციების წარდაწესებას. ეს განსაკუთრებით უხედავად ღვინის, მორტყინისა და კონიაკის წარმოების გადაყვანას მეცნიერულ-ტექნიკური რეკლამაციის შესატყვის ახალ ტექნოლოგიურ პრინციპებზე.

გ) იგივე შეიძლება ითქვას მხარის უძველეს ტრადიციულ სამეურნეო დარგზე — მებაღეობაზე, რომელიც არასწორი სამეურნეო პოლიტიკის შედეგად, დღეს კრიზისის გამოუვალ ჩიხში მოექცა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ხორბლისა არ იყოს, მისი ბარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები განუწყვეტლივ მცირდება, მის მოვლა-პატრონობას ხალხი ფაქტიურად ჩამოშორდა, დედოფლისწყაროში კი, საერთოდ უკვე აღარც იწარმოება. და ეს მაშინ, როცა მსოფლიო ბაზარზე ნატურალური აბრეშუმის ფასი განუწყვეტლივ იზრდება და წლებგანდელი მონაცემებით 1 კგ. მათის ფასმა 100 დოლარს გადააჭარბა.

ეკონომიკური გაანგარიშებით, სწორი სამეურნეო პოლიტიკის პირობებში, ამ მხარეს შეუძლია წლიურად 1000 ტონაზე მეტი აბრეშუმის პარკის წარმოება, ხოლო თუთის ახალი პლანტაციების განხილვით შესაძლებელია ამ ციფრის გაორმაგება უახლოეს მომავალში. ამ დარგისათვის ასეთი სწორი სამეურნეო პოლიტიკა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საპატიო საზოგადოების შექმნა შეიძლება იყოს, როგორც ეს მებაღეობის კლასიკური ქვეყნებშია კიდევ განხორციელებული. ასეთი ტიპის სამეურნეო გაერთიანების კონკრეტული პროგრამა და შესაბამისი წესდება შემუშავებულია და შეგვიძლია მოთხოვნისთანავე წარმოვადგინოთ.

დ) ქიზიყი ოდითგანვე განაქმული იყო მეცხოველეობით, განსაკუთრებით მდიდარი იყო იგი ცხვრის ფარებით. მარტო მის ერთ სოფელს — მაჩხანს ამ ასი წლის უკან 300 ათასზე მეტი სული ცხვარი ჰყავდა. დღეს ეს დარგიც ისეა დაყინებული, რომ ფაქტიურად სოზოგადობრივი მეცხოველეობა ნულამდეა დაყვანილი. ამიტომ ამ სფეროში სასწრაფოდ არის ჩასატარებელი პრივატიზაცია, რამდენადაც მეცხოველეობის განვითარება მხოლოდ და მხოლოდ კერძო საკუთრების პირობებშია შესაძლებელი. ჩვენი აზრით, პრივატიზაციის თვალსაზრისითაც, აუცილებელია ქიზიყის მასშტაბით ამ დარგისათვის პრივატიზაციის ერთიანი კომისიის შექმნა, რამდენადაც როგორც ზამთრის, ისე საზაფხულო საძოვრები ქიზიყის ორივე რაიონის სოფლებს ისტორიულად ერთიან ჰქონდა და დღეს არსებული უწყებები კინკლაობა და გაუგებრობა (ისევე როგორც ტყეების, მდინარეებისა და სარწყავი სისტემის გამოყენებაში), რომ მოისპოს, აუცილებელია ასეთი ერთიანი კომისიის შექმნა.

ე) ქიზიყ-პერეთის ადმინისტრაციული მხარის შექმნა, როგორც საქართველოს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ამასთან, ეროვნული ეკონომიკის შექმნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, მნიშვნელოვან დასოგავს მმართველობის ბარჯებს და ამით საკმაო ეკონომიკის მისცემს რესპუბლიკის ბიუჯეტს — წლიურად დაახლოებით 10 მილიონ მანეთს. შემოთავაზებული რეფორმის ეს ფინანსური მხარეც ანგარიშგასაწევი ფაქტორია დღევანდელ უღარესად მძიმე ფინანსურ ვითარებაში, მომავლისათვის კი, იაფი მმართველობის პრინციპის განხორციელებისათვის...

მხოლოდ საქმე გამოვიყვანს დეპრესიული მდგომარეობიდან, ნამდვილად ღირებული საქმე. მთავარია, რომ ბოლოს და ბოლოს, დაიწყეთ ასეთი საქმე, დანარჩენს თვითონ ცხოვრება გააქეთებს, — როგორც ქიზიყში იტყვიან: „საქმე ძალია, თავის თავს თვითონვე გაიტანს“. მაგრამ თავს გაიტანს მხოლოდ ის საქმე, რომელსაც ეროვნული ცხოვრების დამლა ადევს...

ელზარდ პატიავილი

შაბათ სიღამოს ვინც ტელევიზორში ნახა უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის ვიდეორეგისტრაციას, ალბათ დამეთანხმება, რომ იმ საკითხზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზებს ეხებოდა, ორი ურთიერთისაგან განსხვავებული შეხედულება გამოიკვეთა. პირველი წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა, ხოლო მეორე, ოპოზიციური ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ წევრმა, ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარის მოადგიულმა ბატონმა რომან გოცირობემ. მინდა ორივედ სიტყვა ვთქვა იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რაც ორივე გამომსვლელის მოსმენის შემდეგ დამრჩა. ბატონი პრემიერ-მინისტრის პოზიცია, თუ არ ვცდები, მოკლედ იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ საბაზრო ეკონომიკაზე უნდა ავიდეთ ორიენტაცია, მაგრამ, რადგან დამოკიდებულნი

აღსვენება. ეს უნდა დამოკიდებული იყოს, ცარიელი ენთუზიაზმით და ლოზუნგების სროლით არ მოხდებოდეს. ვერავითარი იფარა და არცაა ქვეყნის ვერ უშვებო. ხალხი მშვენივრად აზროვნებს. მისი სიტყვებია: ის, რაც ჩემი არ არის, სხვისიაო. სხვისთვის კი, თუნდაც ის ეროვნული სახელმწიფო იყოს, დიდხანს თავს არავინ შეიწყუბებს. პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი ლენინიც კი ბოლო დროს მიხვდა, რომ საზოგადოებრივი საკუთრების ხალხისათვის თავზე ძალით მოხვედრის რუსეთი მშვიერი დატოვა და მან ცნობილი „ნების“ კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილი მეურნეობის განვითარება დაუშვა, რამაც მშვიერი ქვეყანა დააპურა. თუნდაც ჩინეთის მაგალითი ევროპის ოქ 1984 წელს დაიწყო ეკონომიკის მორდერნიზების პროგრამის განხორციელება და სულ რაღაც სამ, ოთხ წელიწადში მიწის გლეხობისათვის მუდმივ მფლობელობაში გადაცემით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ორსამჯერ გაზარდეს, ხოლო მრეწველობის სფეროში კერძო საკუთრების სექტორის გაზრდით ანაბად სამრეწველო საქონლის საკმაო ნაწილი მსოფლიოს მოწოდებაზე ქვეყნის ბაზარზე მოთხოვნით სარგებლობს.

ჩემი თვალთახვებით

ვართ მოსკოვის საფინანსო პოლიტიკაზე და მინეთის კურსი მუდმივად ეცემა, სანამ არ გვექნება საკუთარი მყარი ფულის ნიშნები, კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილ სამეურნეო საქმიანობას ვერ გავშლით. ამით თურმე მინეთის გაძლიერებას შეუწყობთ ხელს და ამ გზით მოსალოდნელი ყოფილა გაკორტება. სამაგიეროდ, ბატონი პრემიერი ვითავაზობს იფარულ საწარმოო ურთიერთობებს, რასაც კომპარტიული მმართველობა მშვენივრად ახორციელებდა.

ბატონმა რომან გოცირობემ სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება გამოთქვა. მან სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩვენს სრულ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას წლები სჭირდება, საკუთარი ფულის გამოშვებაც უახლოეს ხანში არ არის მოსალოდნელი, ამასთან ერთად, კერძო ანარქიზმზე შემხანველ ბანკებში უმოქმედოდ დევს ათი მილიარდი მანეთი. იმის ნაცვლად, რომ ხელშეწყობი პირობები შევქმნათ კაპიტალის ამორაგებას, საგარეო ვაჭრობის განვითარებას, სანამ საბჭოთა მანეთის რაღაცის შესყიდვის უნარი გააჩნია, თუნდაც შედარებით იაფი ნედლეულია, ჩვენ ისევ ვაბრკოლებთ კერძო საწარმოო ურთიერთობების განვითარებას და ხალხს გაცივებით იფარულ სამეურნეო ფორმებს ვითავაზობთ.

ჩემი ღრმა რწმენით, ხელისუფლებს ეკონომიკური აზროვნება ღრმა კრიზისის განიცდის, ან ერიდება და გაურბის ძირეულ რეფორმებს, რომელთა გარეშეც სოციალისტური ეკონომიკური სისტემა უცვლელი დარჩება. ბატონო პრემიერო! კარგად უწყით, რომ ჩვენს საქართველოს დიდ დახმარებას არავინ გაუწყნებს. დაგვრჩა ერთადერთი გამოსავალი, რომ საკუთარი თავზე დაყრდნობით, საკუთარი ძალებით ვეცადოთ ავღორძინოთ ჩვენი დამცველი ეკონომიკა. ამას სჭირდება სამეურნეო საქმიანობისადმი სოციალისტური სულსკვეთების მოსპობა და კაპიტალისტურის

ვლობაში გადაცემით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ორსამჯერ გაზარდეს, ხოლო მრეწველობის სფეროში კერძო საკუთრების სექტორის გაზრდით ანაბად სამრეწველო საქონლის საკმაო ნაწილი მსოფლიოს მოწოდებაზე ქვეყნის ბაზარზე მოთხოვნით სარგებლობს.

ჩვენ რაღა ღებრთი ვაგვიწყობა? ბედად ამხლა რუსეთის გასაღების ბაზარი გვაქვს. ისიც წინააღმდეგი არ არის ჩვენთან ეკონომიკური ურთიერთობებისა და მივცეთ ჩვენს ხალხს უფლება გამოიჩინოს თავი გერეკრობით ნომ სხვა გზა არ არსებობს, ისე მანეთზე დაყრდნობით აღვადგინოთ ჩვენი დანგრეული ეკონომიკა და შემდეგ საკუთარი ვალუტის შექმნაზე ვიზრუნოთ. ეკონომიკურად თუ მოვძლიერდებით, ასე ადვილად ვეღარც ვაგვიწყნებს იქტატს. გაბა აქიომმა არ არის რომ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მისი პოლიტიკური სიძლიერის საფუძველია?

მესმის, რომ ქვეყნის მასშტაბით ძირეული რეფორმის გაკეთება დიდ რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ ათასწილი გაცივებული სოციალისტური ექსპერიმენტების ჩატარებას ვამჯობობთ მსოფლიოში ნაცადი და გამართლებული კაპიტალისტური მეურნეობა. კი, ბატონო, იყოს მტკიცე სადასაძალო სისტემა, კონტროლი, მაგრამ დღევანდელი დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტის შესესებას ნუ გადავყოფლებთ სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკონომიკურ რეფორმას.

იმედია, ქართველი ეკონომისტები კიდევ ერთხელ იმეჯდებიან ამ საკითხებზე და ხელისუფლებას თავიანთ დასაბუთებულ, ჩამოყალიბებულ კონცეფციას წარუდგენენ. ხელისუფლება კი, ალბათ ვიწრო უწყებრივ ინტერესებს არ დაუქვემდებარებს საქართველოს ეკონომიკის ბედს.

ღია თვალთახვა

აუზ-კანადა-სსრკ-ს ერთობლივი ფირმა „აპოლო“
ახლოვანება „სინათლისთან“ ერთად

პირველად საქართველოში აწყობს კომპლექსურ კურსებს მანუალურ თერაპიაში, ბიოენერგეტიკასა და აღმოსავლური მასაჟის მეთოდებში, სადაც თქვენ დაეუფლებით:

1. რადიკულიტების, ოსტეოქონდროზების, ხერხემლის გამარჯვების და ა.შ. მკურნალობის უმეტვენიულო მანუალური (ხელით) მკურნალობის მეთოდებს.
2. ადამიანის ორგანოების მთელი რიგი დაავადებების მინილზე დიგნოსტიკისა და მკურნალობის ხერხებს.
3. აღმოსავლური მეტოდიით სამკურნალო მასაჟის ხელოვნებას. მეტადინეობის წარუძღვებიან მაღალკვალიფიციური მანუალური თერაპიის სპეციალისტები, ექიმი-პრაქტიკოსები, ბიოენერგოთერაპევტები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ სსრკ-სა და უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში. კურსები ჩატარდება ა/წლის 28 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე.

კურსების დამთავრებისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ მსმენელებს მიენიჭებათ კვალიფიკაცია და გადაეცემათ საერთაშორისო სერტიფიკატი, უცხოეთში მუშაობის უფლებით. ცნობებისათვის შეიძლება მიმართოთ; **ადმინისტრაციის ქ. № 106, (საქარია ჩოღდრიშვილის № 8), კულტურის სახლში, ტელ. 45-06-71, 22-22-18.**



იქნებ ეს მსხვერპლი გაინს იყოს უკანასკნელი

...მასწავლებელი, როცა კრწანისის ტყე-პარკიდან რეპორტაჟს ვაკეთებდი, ჩემმა მეგობარმა მითხრა, აქ ფრინველებმა უცებ დაიბუღეს და გამარაგდნენ, რადგან ამ ადგილებში თოვლი მონადირეებს გერ არ უსვრი-ათ, აქაურობა არ დაუთოვით და ფრინველებსაც შიში აღარ აქვთო. დღეს კი ირონიულ ღიმილს მგვრის ყოველივე, რადგან ტყე-პარკში წი არა, აქვე ქალაქში, სახლების წინ, გამვლელების თვალწინ ისვრიან, ფრინველებს კი არა აღამაინებს, თანამოდებებს, ქართველებს კლავენ. იარაღიანი კაცების ყურბანსაც შეევეჩვიეთ თითქმის. 14 ოქტომბერს, დაახლოებით დღის 3 საათზე მერვე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები საშინელი შემთხვევის მოქმედი გახდნენ. ადგილზე გუშინვე მივედი და იქაურ მცხოვრებლებს ვთხოვე ზუსტად მოეთხროთ, თუ რა მოხდა 14 ოქტომბერს.

ლენ. ჩვენი ორი თანამშრომელი ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს, უნდოდან ჩვენი მანქანის წაყვანაც, მაგრამ ჩვენივე თანამშრომლებმა მანქანას ესროლეს და საბურავები დაუშვეს. ის ორი წარმომადგენელი აუყვანიათ თბილისის ზღვაზე, თავიანთ შტაბში, სადაც სათანადოვანი ჰყავდათ. ჯოგორაც თქვეს, რაიმე ძალიანობას ადგილი არ ჰქონია.

თანაზი კობახიანი:

ჩვენმა გვარდიელებმა 13 ოქტომბერს შტაბის მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნეს საეჭვო ავტომანქანა, რომელშიც მძღოლის გარდა იქნა ქალი და ბავშვი. შემოწმების შედეგად მძღოლს, ვინმე გვარად უზუნალოვს, აღმოაჩინა ჩვენი გვარდიის ყაბდო მოქმედი. მან განაცხადა, რომ ეს მოქმედი მან ხელში ჩაიგდო მეზობლის, ვინმე იმედო შუბითიძე-გორგობაძისაგან. ჩვენივენი ნათელი იყო, რომ უზუნალოვი დახვეწილ იყო მოსული. გადაწყვიტეთ დაეკავშირებოდით იმედო შუბითიძე-გორგობაძისა და დაგვეზუსტებინა თუ რა ხერხებით, რა საჭიროებისთვის და საიდან ვასცა ჩვენი მოქმედი. ამიტომ, ჩვენი გვარდიის 3 წარმომადგენელი გაგზავნეთ მის ბინაში. პირველი მისვლისას სახლში დაგვხვდა შუბითიძის დედა, რომელსაც უთხრეს, რომ ხვალ, ორ საათზე კვლავ ეწვეოდნენ. როგორც ჩანს, ქალბატონი დაუკავშირდა მილიციას და ჩვენს ბიჭებს ჩაუსაფრდნენ, რის შემდეგაც მოხდა შეტაკება და როგორ ვგონიათ, კაცი, როცა ვისაფრდებოდა, პირველი ვინ ისროდა? ყველა ტყვიას აწვარდაცვლილ ჩვენს გვარდიელ ოთარ ნუცუბიძეს უკან მხრიდან აქვს მოხვედრილი. ის მიველები, რომლებიც აქ ამოიყვანეს, მძლე გავუშვიეთ, ხომ არ დაგვწყვიდით ცემა-წამებით.

გონივრული ანგარიში:

მე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვარ. სამხედრო სამსახური გავიარე ავანტიურაში. ახლა მოხალისედ ვარ გვარდიისში. 13 ოქტომბერს დაგვკავებ ტელმან უზუნალოვი, რომელსაც აღმოაჩინდა ჩვენი გვარდიის ყაბდო მოქმედი. მან დაასახელა ვინმე იმედო შუბითიძე, ვისი მეშვეობითაც ეს საბუთი მის ხელში მოხვდა. წავიდეთ შუბითიძის სახანჯელად. სახლში დაგვიხვდა დედა, დალი გორგობაძისი. თავიანთ რათა არ დაგვემალვოდა, ვუთხარით, რომ პრეზიდენტის მხარდამხრები ვიყავით. და ვუთხარით, რომ მეორე დღეს, 2 საათზე კვლავ ვეწვეოდით. მეორე დღეს დაპირებისამებრ კვლავ მივედით ჩვენ სამოქალაქო ტანსაცმელში, იარაღი გვქონდა, მაგრამ მანქანაში, სკამებზეს ქვეშ. სახლთან იღვა მილიციის მანქანა, რომელშიც იჯდნენ მისიციისფორმირანი და სამოქალაქო ტანსაცმელში ადამიანებიც. ქალბატონ დედისთან ერთად დაგვხვდა იმედო შუბითიძის შთამომავალი. მას ვთხოვეთ, რომ გამოგვეყოლოდა და დაგვეხმარებოდა მოძებნაში. მან უარს გვითხრა. მეორე დღე ჩამოვიყვანე და სკამებზეს შუბითი აწვარდაცვლილ ოთარ ნუცუბიძეს, რომელსაც ჩემთვის ვეძებდით, ვთხოვე უკან დაგვბრუნებულიყავით. მანქანა მოგაბრუნეთ და მილიციელების მანქანაც დაგვედგინა. იმათ მანქანაში 7 კაცი იჯდა. როცა პირი თბილისის ზღვისკენ დაივიქრეთ, მღვრებმა მიმართულმა შეიცვალეს და დაბლა დაეშვენ. ჩვენ უკან გავყვით. თუმცა ეს ჩემი სურვილი არ იყო და შევასხენე კიდევაც ბიჭებს, რომ ჩვენ მხოლოდ იმედო შუბითიძის დაკავება გვქონდა განზრახული. მაგრამ ჩავთვალეთ, რომ შუბითიძე სწორედ იმ მანქანაში იყო. საავადმყოფოსთან ახლოს, პურის საცხობთან რომ მივედით, გაისმა

სროლა მხოლოდ ერთხელ, საცხობის მხრიდან. მივხვდით, ეს იყო წინასწარი ჩანაფიქრით გადმოგდებული ანკესი, რომელზედაც წამოვეგეთ. მე ავტომობილი გადავიყვინე და საბურავებში ვესროლე მანქანის და მწყობრიდან გამოვიყვანე. ვადმოვედით მანქანიდან და ტროტუარზე ვადმოვიყვანეთ ვილისში მსხლმინი. ჩემმა მეგობარმა გოჩამ მითხრა, რომ წავსულიყავი და ზემოდან დამხმარე ძალა ჩამომეყვანა. სულ მალე 10 ბიჭი ჩამოვიყვანე. დაკავებული მილიციის თანამშრომლები წამოვიყვანეთ ჩვენს შტაბში.

მერე კი შეტაკების მონაწილე მე აღარ ვყოფილვარ, ვიცი, რომ დაიჭრნენ ჩემი მეგობრები გოჩა და ოთარ. სამწუხაროდ, ოთარ ნუცუბიძე, ოცდარვა წლის ქუთაისელი ბიჭი, 5 წლის ვაჟიშვილის მამა, გარდაიცვალა.

საინფორმაციო ცნობიდან:

28 წლის ქუთაისელი ოთარ ნუცუბიძე 15 ოქტომბერს დილით გარდაიცვალა ოპერაციიდან რამდენიმე საათის შემდეგ. იგი და კიდევ სამი დაჭრილი გუდამაყრის ქუჩაზე, თბილისის მეოთხე ქალაქის კლინიკური საავადმყოფოს მახლობლად სროლის მსხვერპლი გახდნენ. თხზივე იქ მიიყვანეს.

შვილებთან ერთად ჩემი სახლის წინ ვიდექი, როცა სროლა დაიწყო, — გეითხრა ლია ნავროზაშვილი, — ძალიან შემეშინდა და შინ შევედი. დღის ორი საათი იქნებოდა, ფანჯარაში რომ ვაიხებე, სახლთან რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა შევიშნე. იქიდან ავტომანქანის ადამიანები გადმოვიდნენ. ყველანი სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი. მათ დიწყეს სროლა. არ დამინახავს, ვის ესროლნენ. სროლამ ორმოც წუთს გახატა. ძალიან ვერჩვილობდი, სადღესასწაულო დღე იყო და ქუჩაში ბევრი ხალხი მიმდიოდა. მათი დარდი მქონდა. ამ დროს კი თურმე ჩემი ქმარი დაჭრილი...

55 წლის დიმიტრი ნავროზაშვილი მუშაობდა თავის სახელოსნოში, რომელიც მისი სახლის ეზოშია. — როცა სროლა მიწვლიდა, — თქვა მან — გადაწყვიტე ქუჩაში გავსულიყავი, მენახა რა ხდებოდა. ჩემგან რამდენიმე მეტრის დაშორებით მეზობელი აბესლომ იარაჭული მოდიოდა, უცებ წაიბრძოკა. მის დასახმარებლად ვაიქეცი, და აი იმ დროს დავიჭირე. ჩემსავით ისიც ფეხშია დაჭრილი.

ორივეს ცეცხლსასროლი ჰქონდა აქვს მიყენებული წვიცაში, ამასთან ძველიც დაზიანებულია. — თქვა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა შოთა პეტრიაშვილმა, — საბედნიეროდ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშიში არ არის. იმ ავბედით დღეს, 14 ოქტომბერს, 15 წუთში მოიყვანეს გუდამაყრის ქუჩიდან ოთხი დაჭრილი. ორი ძალიან მძიმედ იყო. სამწუხაროდ, ოთარ ნუცუბიძეს ვერაფერი ვუშველეთ, ტყვია მუცლის ღრუში ჰქონდა მოხვედრილი. მან ბევრი სისხლი დაკარგა. იძულებული გავხდით ორჯერ გავგვეკეთებინა ოპერაცია. ერთი სიტყვით, ექიმები უკანასკნელ წუთებამდე იბრძოდნენ დაქროლის გადარჩენასთან.

წერილი დასაბუთად დეო მხალ, როცა შევსწავლეთ, რომ ამ შეტაკების დროს დაჭრილი, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი სიღამონ წითელაშვილი დაიღუპა. გამოგვაკვლიდა კიდევ ერთი ქართველი. ამ შეტაკების მხილველი ქალების სიტყვები მახსენდება: შეჩერდით, ხალხო, რას შეგებით, ხომ ხედავთ, როგორ ვცოტავდებით. სულ არ ვიცოდით, იმ დღეს ვინ ვის ებრძოდა. მაგრამ ქუჩაში დაღვრილი სისხლი რომ დაეინახეთ, გვინდოდა ყველას განურჩევლად დაგვემარებოდით, თუ გვა გვემინოდა, ჩვენიყვისაც არ ესროლათ ტყვია. შეჩერდით, ქართველებო!!! იქნებ ეს მსხვერპლი მაინც იყოს უკანასკნელი.

ამ ათიოდე წლის წინათ ინტერვიუ ავიღე ავთანდილ ლომსაძესთან, რომელიც გავით „ლელოში“ დაიბეჭდა. მოგვსენებთ, ა. ლომსაძე უნიკალური პარაფსიქოლოგიური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია და საკმაოდ ცნობილი პიროვნებაც გახლავთ. აქაც და უცხოეთშიც. იმ ინტერვიუში ბატონი ავთანდილი ბევრ ისეთ რამეს ამბობდა, რაც ეწინააღმდეგებოდა მატერიის გაგებას, მარტივად რომ ვთქვათ, ბატონი ავთანდილი პარაფსიქოლოგია ე.წ. დახურულ თემად ითვლებოდა, ამიტომ პარაფსიქოლოგიაზე წერაც არ შეიძლებოდა. არ ვიცი, მთავლობა გაეპარა თუ რა იყო, ერთი სიტყვით „ლელოში“ დაბეჭდილი ამ პაწაწინა ინტერვიუს მოჰყვა ერთ-ერთ პარტიულ ჟურნალში გამოქვეყნებული (10 გვერდიანი) გამანადგურებელი სტატია, მაგრამ საინტერესო თვით ის ხერხი გახლავთ, რითაც „გზაგინადგურებს“: სასწრაფოდ აფრინეს კორესპონდენტი ერთ-ერთ საწარმოში და იქ მოწინავე მუშას დააწერიანს პრეტესტი წერილი აზნისხულ ინტერვიუსთან დაკავშირებით. აი იმ წერილის საფუძველზე შემდეგ დაიწყო და დაიბეჭდა „შემთხვევითი“ მასალა... ეს იყო ტრიალური რეჟისის ერთადერთი პრესის მუშაობის სტილი, ასეთი რამ მაშინ ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა... მუშებსა და გლეხებს შორის კი ყოველთვის პოპულარობა იქონიებდა „შემთხვევითი“ რეჟისის პირადი მართვების და იმ საცოდინო მართვების სახელით უსწორდებოდნენ „არასტანდარტულად“ მოაზროვნეებს. მე არ მინდა დავიკერო, რომ ახლაც ასე ხდება... და თუ ასე ხდება, მაშინ კაპიკი ყოფილა ჩვენი ფასი და საერთოდ წყალში ჩაყრილია ყველაფერი ის, რისთვისაც ამდღეს ვიღვით...

თითქმის ყოველდღე საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის დიქტორები დამწუხრებული სახით, დამწუხრებული ხმით ამცნობენ საზოგადოებას იმ „უღიღესი სახელმწიფო დანაშაულის“ შესახებ, რაც გავხვებ „სამშობლომ“ და მისმა რედაქტორმა პაატა ნაცვლიშვილმა მოიმოქმედა სკუთარი სამშობლოსი მიმართ ამავე გაზეთის გაერთიანებული მე-17 და მე-18 ნომრების გვერდებზე. ყურადღებით თუ წაიკითხავთ გაზეთს, დარწმუნდებით, რომ ეს არის ჩვეულებრივი დაიქვტი. ე. ი. ორი სექტემბრის შემდეგ რესპუბლიკაში დაბეჭდილი გაზეთების (მიმხილვასაც ვერ დავარჩემე)...

გნებავთ შემოკლებული ნაკრები, სადაც ასახულია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. რედაქცია ბეჭდავს ამ მასალებს და რაიმე ტენდენციურ კომენტარსაც კი არ უშვებს, თუ მხედველობაში არ მივლენთ ბატონა შესავალს: 2 სექტემბერს თბილისში ერთხელ-დემოკრატიული პარტიის მიტინგის დარბევას საქართველოში ვითარების დეტალური ანგარიში და დაძაბულობის ესკალირაცია მოჰყვა, რაც ღრმა კრიზისში გადაიხარდა... რა არის ამაში ისეთი, რაც დღეს მთელმა მსოფლიომ არ იცის? მიტინგის დარბევა ომონის მიერ იმავ საღამოს ხახა რუსეთმა, უკრაინამ და ნახევარმა მსოფლიომ ტელეკრახუნზე... საქართველოში დეტალიზაცია რომ ამ მიტინგის დარბევას შემდეგ დაიწყო, არც ეს არის ახალი იმ 35 ქვეყნისათვის, სადაც „სამშობლო“ გრცელდება. ამ დიქტორის დაბეჭდვით, ჩემი აზრით, ვახუთ „სამშობლოს“ რედაქციის პოზიცია ასეთი იყო — ებეჭდეთ საქართველოს ყველა გაზეთის მასალებს (რა თქმა უნდა შემოკლებით) 2 სექტემბრის შემდეგ საქართველოში მომხდარი პოლიტიკური მოვლენების შესახებ, დაე ჩვენს თანამემამულეებს სრული ინფორმაცია ჰქონდეთ... ასეთი მკვეთრი აქცენტი რომ არ გავეთქვითოყოს „სამშობლოს“ 17-18 ნომრებზე, ეს ნომერიც იქნებოდა ისეთივე ჩვეულებრივი, არაფრით განსხვავებული გაზეთი, როგორც აქამდე იყო... ასეთმა უნებლიე „რეკლამამ“ კი საგრძნობლად გაზარდა საზოგადოების ინტერესი „სამშობლოს“ აღნიშნული ნომრების მიმართ, აქედან გამომდინარე კი გაზეთის პოპულარობაც გაიზარდა.

რედაქციის მიწაწერი:

პრობლემათა „გადაჭრისათვის“ ბოლო დროს აღორძინებული კოლექტიური წერილები რომ მიუღებელია ცივილიზებული სამყაროსათვის, ამაზე არაერთგზის ითქვა და დაიწერა. ყველას აჩვენს თავისი აზრი და მისი გამოთქმის უფლებაც ცხადია, იმ 180 ხელმოწერის, რომელთა განცხადებაც, გაზეთების „სამშობლოს“ და „დროის“ შესახებ, ტელევიზიით იქნა წავითხული. მაგრამ ასეთი ფრაზები — „გათავისუფლებულ იქნას“, „მიღებულ იქნას სათანადო ზომები“ და ა. შ., ჩვენი აზრით, სასიყვეტო საქმეს ხელს ვერ შეუწყობს.

თურქეთში წამსვლელთა საპურადღებოდ!

მრავალდარტოვანი სატრანსპორტო ტურისტულ კოორპერაციის „ექსპრეს“-ს გადაყავს თურქეთში მგზავრები შეღავათიან ფასებში, მარშრუტებით: თბილისი-სტამბოლი, თბილისი-ფაცა-სამსუნი — იკარუსის მარკის ავტობუსებით, თბილისი-ტრავიზონი რაფის მარკის მიკროავტობუსებით. აგრეთვე აწარმოებს 4-დღიან ტურისტულ მოგზაურობას ტრავიზონში.

ცნობავისათვის მდგომარეობა: ქუჩიშვილის ქ. № 4 (სახტუმრო „საქართველოს“ შტაბი-დამირე მხარეს).

ტელეფონი: 29-18-48, 60-84-60, აგრეთვე ქუთაისის ფილიალი: დავითაშვილის ქუჩა, № 15, ტელეფონი: 6-60-05.

იხილვა
კერძო 4. თათბირი სახლი ვერაზე მცირე ეზოთი, გუნის ქუჩა, № 12. მსურველს ვთხოვთ მოაზრანდეს ყოველ დღე 13.00-19.00 საათამდე.

გიორგი ტაბატაძე — გლდანის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე:
14-ში პირველის ათ წუთზე დაჩეკა ჩემთან ქალბატონმა ფეიქრების ქუჩის 12 ნომრიდან და მითხრა, გუშინ ჩემთან მოვიდა სამი ახალგაზრდა შეიარაღებული და ჩემი ვაჟის წაყვანა უნდოდით, მაგრამ სახლში არ იყო, მიიხრეს რომ დღეს 2 საათზე კვლავ მოვალოთ. ზომების მისაღებად ჩვენ 50 წუთი გვრჩებოდა, აქედან გავგზავნე ოთხი თანამშრომელი და მძღოლი-მილიციელები. ადგილზე მისულერბს იქ არავინ დაუხვდათ. ვითარების გასარკვევად ორი თანამშრომელი სახლში შევიდა. ორიც გარეთ დარჩა. ამ დროს შეინახეს მანქანა მოადგა. გაჩერდა და როცა ჩვენი მანქანა შეინიშნეს, მოაბრუნეს და ქალაქში გაბრუნდნენ. ჩვენივე დაეღვენენ. აინტერესებდათ, თუ ვინ იყვნენ, რამეთუ დღეს ვამხრდა ფულს გამოძალკვის მიზნით ყაჩაღური თავდასხმები, მით უფრო, რომ ქალბატონმა, რომელსაც ჩვენ დაგვიჩვენა, გეითხრა, რომ მოხვედრებოდა თავის პრეზიდენტის მხარდამხრებლად ასაღებენ, მაგრამ მათი უფროსი ქუჩის ბაზრის მფლობელი იყო, ანუ მათი პრეზიდენტი და ანუ მისი ოთარ ნუცუბიძის წინამძღვრები არ უნდა იყვნენ. დღევანდელ შემთხვევაში დაინახეს, რომ მანქანაში თბილისის ზღვაზეს აუტეხია. გესახებოდა ყოფილი მფლობელი იმისი და სოციალისტის გვარობის თვითონ ასეველებლად მილიციის თანამშრომლებმა. დღესა შეწვევტყვის. დაბლა დაეშვენ. ამ დროს წინა მანქანა, რომელშიც სამი ბიჭი იჯდა, შემობრუნდა და ახლა ერთი დაეღვენა. როცა ახლოს მხტანიაზე მივდინე. ატყენეს კოლა. რამდენიმე ტყვია მოხვდა მანქანას, მერე როცა წინა საქარე მინაც გახვერიდა, მილიციელებმა მანქანა გააჩერეს. უკან მანქანიდან გადმოვიდნენ შეიარაღებული ბიჭები. ჩვენები მანქანიდან გადმოვიდნენ და იქვე ტროტუარზე, ანუ ვთქვით, გამაჩერეს. მალე სხვა მანქანებიც წამოეშვე-

ბის (მიმხილვასაც ვერ დავარჩემე)...

რა არის ამაში ისეთი, რაც დღეს მთელმა მსოფლიომ არ იცის? მიტინგის დარბევა ომონის მიერ იმავ საღამოს ხახა რუსეთმა, უკრაინამ და ნახევარმა მსოფლიომ ტელეკრახუნზე... საქართველოში დეტალიზაცია რომ ამ მიტინგის დარბევას შემდეგ დაიწყო, არც ეს არის ახალი იმ 35 ქვეყნისათვის, სადაც „სამშობლო“ გრცელდება.

ამ დიქტორის დაბეჭდვით, ჩემი აზრით, ვახუთ „სამშობლოს“ რედაქციის პოზიცია ასეთი იყო — ებეჭდეთ საქართველოს ყველა გაზეთის მასალებს (რა თქმა უნდა შემოკლებით) 2 სექტემბრის შემდეგ საქართველოში მომხდარი პოლიტიკური მოვლენების შესახებ, დაე ჩვენს თანამემამულეებს სრული ინფორმაცია ჰქონდეთ... ასეთი მკვეთრი აქცენტი რომ არ გავეთქვითოყოს „სამშობლოს“ 17-18 ნომრებზე, ეს ნომერიც იქნებოდა ისეთივე ჩვეულებრივი, არაფრით განსხვავებული გაზეთი, როგორც აქამდე იყო... ასეთმა უნებლიე „რეკლამამ“ კი საგრძნობლად გაზარდა საზოგადოების ინტერესი „სამშობლოს“ აღნიშნული ნომრების მიმართ, აქედან გამომდინარე კი გაზეთის პოპულარობაც გაიზარდა.

შრომელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე, შესაძლოა მოხსნან რედაქტორი, შესაძლოა სახელმწიფოებც შეუცვალონ გაზეთს და ა. შ. მაგრამ ასეთი მეოთხედი დემოკრატიულობის და ობიექტურობის პრინციპებიდან გადასხვევად მიმანია, რაც ყოვლად დაუშვებელია იმ ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიულობისა და სამართლიანობისთვის იბრძვის. ახლა ვინმე შეშვეკავთ და მეტყვის, განა იარაღის ხელში აღება და ამ სახით მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა დემოკრატიულია? გეთანხმებით, რასაკერაველია, არაღემოკრატიულია.

თამაზ ზვირილი



პოლიტიკა

ქალბატონო რედაქტორო, გაზეთ „თბილისის“ 15 თებერვლის ნომერში გაუგებარი სათაურის („სახელმწიფო კრიტიკაში ჩადგომა...“)

სათაურქვესათაურიდან ჩანს, რომ თქვენი ავტორი წერა-კითხვებზე წყურალად უნდა ბრძანდებოდეს. ეს იმ პატივცემულ მანდილოსანს არც გაემტყუნება, რადგან, როგორც თავადვე აღიარებს, დღე და დღე პარლამენტის შენობასთან დგას და, როგორც ჩანს, სხვა საქმისათვის ვერ იცლის...

ქალბატონო რედაქტორო, სახელმწიფო გამოსული და დღე და დღე ქუჩაში მდგარი რამდენი ქალიც თქვენს რედაქციას მოადგება, რაღაც ვეღვას თქვენ უნდა გაუფანოთ კარი?

ქუჩაში რომ არ მდგარიყო და გულდასმით ოჯახში წაიკითხა ჩემი წერილი, განა ის მანდილოსანი ჩემი მისამართით ასეთ რამეს დაწერდა? „დღეს საქართველო სამ ნაწილადაა გაყოფილი: სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლებად, მათ მოწინააღმდეგეებად და სივრცის მკურნალებად.“

ამ უანახსენებელ არც საქართველოს ხელი აწუხებთ, არც ტყუილმართალი, ელოდებიან წუთს, რათა შემდეგ სახარტებლო პოლიცია დაიკავონ, ათხვავარი ჯორებით და ცილისწამებით ცდილობენ ერთმანეთს წაიფიქრონ ორივე მხარე და ხისხლში ჩაახშონ ეროვნული მოძრაობა, ასეთ უაზრობასთან რაღაც გონიერ ჯამოსსანაშაური წერილის ავტორი, ბატონი ნოდარ ბრიგალაშვილიც!

ასეთ ადამიანთა რიგში თუ ვარ, სერიის მკურნალები კი არა, სამშობლოს თავისუფლების მოწინააღმდეგე ვყოფილვარ!

ეროვნული მოძრაობის სისხლში ჩახშობა და ორივე მხარის წაქცევა თუ მინდა, „ბატონი ნოდარი“ კი არა, ოხერი და მამამაღლი ნოდარი ვყოფილვარ.

კარგი და, დაგიჩერათ მკითხველმა, ქალბატონო რედაქტორო, რომ მე მართლაც ის მინდა და იმას ვწერ ჩემს წერილში, რაც დამაბრალეთ: განა გაემტყუნებთ მაშინ ფიზიკურად რომ გამანადგურონ?

აი, აქეთ უბიძგებთ ადამიანებს და სამწუხაროდ, ამას აკეთებთ შეგებულად.

იმ გაზეთში, რომელსაც მე ვრედაქტორებ, ერთ კაცს თავისი ძველი უწყინარი პროფესიები გავუსენეთ და ამის გამო ლამის ჯვარს გავცვან...

მე კი რა დამაბრალეთ, გესმით? „კაცისმძულვნილი“ ძმათა შორის

სარედაქციო წინათხა: წერილი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, პასუხია გაზეთ „თბილისის“ დაბეჭდილ პუბლიცაციაზე, ამდენად, ურუნხოსიტიკის დაუწერიელი კანონის მიხედვით, ის იქვე უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ, იმედია, არ გავწყენენ კოლეგები, ავტორის თხოვნით, ჩვენს გაზეთში ვაქვეყნებთ მას. არაა გამორიცხული, რომ პოლიტიკის განვლა გაზეთ „თბილისში“ ან გაზეთ „საქართველოში“, რომლის რედაქტორიც ბრძანდება ბატონი ნოდარ ბრიგალაშვილი, უფრო გამწვავებულად ისედაც მწვავე ვითარებას. ვიმედოვნებთ, რომ ამ შემთხვევაში ნეიტრალური „ახალგაზრდა ივერიელი“ ფურცლები კორექტულობას შემატებს კამათს, მითუმეტეს, ჩვენი თხოვნით, ავტორმა პუბლიცაციიდან ამოიღო რამდენიმე შეკვეთი ფორმულირება.

ჩვენც ცოცხა უვრო გონიერ ავტორებს უხეობ!

(ლია წერილი გაზეთ „თბილისის“ რედაქტორს)

სისხლისღვრის მორტფილეობა და სამშობლოს ღალატობა, მაგრამ, ამის გამო, თქვენ ვინ მოგთხოვთ პასუხს, ქალბატონო რედაქტორო? ჩივილი მე არ მიყვარს და რამაც გიჩივლოთ, სად ვინავსო? — სამართალი მკვდარია!

ქალბატონო რედაქტორო, იმ მკითხველსაც მანდილოსანს თუ არა, თქვენ ხომ შეგიძლიათ წაკითხული ტექსტიდან შეინარსოს გამოტანა? წაკითხეთ კიდევ ერთხელ, რას ვწერდი ზემოთხსენებულ წერილში სექტემბრის უკიდურესად დაძაბული დღეების შესახებ, წაკითხეთ თუ რას მოგეწოდებდა შეიარაღებულ თაბოციონერებს. გთავაზობთ ციტატს ჩემივე წერილიდან:

„თბილისის ქუჩებში თოფიანი კაცები ღლიან. ტრევივისთან ოპოზიციის თოფიანი და ავტომობილიანი პირტიტველა ბიჭები დგანან. რად გინდათ, ბიჭებო, ეს თოფები, ეს ავტომობილები? — ვეკითხები მათ და ისინი მპასუხობენ: შენს დასაცავად გინდა, თქვენს დასაცავად გვირდებო. იმათ შესაშინებლად გვევირავს ხელში, თორემ საქმე-საქმეზე რომ მიდგეს, სროლით როგორ ვეგვრებთ, ისინიც ქართველები არიანო.“

ტყუილია, ბიჭებო, ტყუილია. იმითი მიხედვით, თუ თოფი წარმოღვრის დასაწყისში კედლებზე ჰკიდია, ის თოფი შეუთხვებელი მედების დასასრულს აუცილებლად გაისვრის.

თოფიანი კაცები რომ არ ყოფილიყვნენ ქალაქში ამ დღეებში, „თელასთან“ ტრაგედია არ მოხდებოდა.

ვის კისერზეა ეს ტრაგედია, ხელისუფლებისა თუ ბატონ კიტოვანის გვარდიისა, თუ ბატონ თენგიზ სიგუასი, ეს, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბევრ ტრაგედია მოხდა. მე თუ მკითხავთ.

დალუპულთა ცოდვა ორივე მხარის სულელებს დაამძიმებს. გვარდია რომ ქალაქში არ ყოფილიყო, იმ დამით ტრაგედია არ მოხდებოდა. ფაქტი, აი, ეს არის.

თუ გვარდია დღეს გამსახურდას ჩამოაგდებს იარაღის ძალით. არ არის გამორიცხული, ხვალ უკვე სახურველ მთავრობას ივანე ბატუაშვილის სხვა თოფიანმა კაცებმა.

ამის რეციდივი ჩვენ არ უნდა დავუშვათ. ამიტომ, ძმებო, წადით, წადით! ისევ თქვენს ძმებთან მიდით! თქვენი უფროსი არც კიტოვანია, არც სიგუა და არც გამსახურდია. თქვენ სამშობლოს ეკუთვით, ამიტომ, მხოლოდ სამშობლოს გარეშე მტრის წინააღმდეგ უნდა აიღოთ ხელი იარაღი და არა რომელიმე კერძო პირის დასაცავად. როცა გარეშე მტერი დაგვემუქრება, მაშინ გამოჩნდით. ჩვენ კი თუ მთავრობა გადაგვივლის, გადაგვიაროს.

საქართველოს უთაბოციოდ დაჩენა სჯობდა იმას, რომ საქართველოში აღარც „პოლიცია“ არსებობდეს და აღარც „ოპოზიცია“. ჩვენს მიწას კი უცხო ტომი დეპარტონოს, რამეთუ ძმათა ომში გამარჯვებული არ არსებობს.

ამიტომ, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს. სახელოვანი სიკვდილი მტერთან არის სახატლო და არა ძმასთან, „თელასთან“ კი ძმები დაიხიციან.

ეს არის, ქალბატონო რედაქტორო, ორივე მხარის წაქცევის ცდა და ეროვნული მოძრაობის სისხლში ჩახშობის სურვილი? არადა, თქვენი გაზეთიდან მივიც ურცხვად მიკვირებ: „თოფიანი კაცები გაევირებთ? თქვენ დასაცავდ პირტიტველა ბიჭები რომ დაგიყვნილობათ, რატომ ეს არ გაცოცხებთ? ანდა, რამ დავაუქმლურათ ასე, პირტიტველები რომ დაიყვნილ და მცველებად, თუ იმათი სიცოცხლე

არაფრად გიღირთ? მთელად, ასეთი დემაგოგიური განცხადებების შემდეგ არ გამოიკვირდება ერთ უბედურ დღეს გაზეთ „თბილისში“ რომ ამოვიკითხო: „გურიაში კომბინი დაიკარგა. უთუოდ ნოდარ ბრიგალაშვილის საქმე იქნებაო.“

ქალბატონო რედაქტორო, წერილი ერთი ასეთი ფრაზითაც ვარ დამუნებულნი: „მე კი კაცის შეილო, ასეთი „სიმართლის მოყვარული“ თუ იყავ, რატომ აღრე არ იღებდი ხმას... რატომ დღემდით, რატომ?“

ძვირფასო კოლეგავ, ეს ფრაზა საწყენად არ დაბრჩენია, რადგან შესაძლოა თქვენი ავტორის ერთგულ მოძრაობაში ყოფნის ისტორია რამდენიმე კვირით ათვლდება... ამიტომ, არ გაემტყუნება, თუ არ იცის რა იყო აღრე, ვინ სდუმდა და ვინ არა.

ცხადია, ჩემი ბოგრაფიის გადმოცემას არ ვეცადებ, ერთს კი გეტყვით, 1956 წლის 9 მარტის გამოსვლებაში მონაწილეობა არ მიმიღია, ამ უბრალო მიზეზის გამო, რომ დაბადებული არ გახლდით...

მეორე გრანდიოზული და თავგანწირული გამოსვლა ქართველი ხალხის იმპერიის წინააღმდეგ 1978 წლის 14 აპრილს მოხდა. ამ საბრტესტო აქციაში კი, არათუ ვმონაწილეობდი, არამედ მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი ვახლდით.

სხვათაშორის, ამ აქციის ორგანიზატორობა „ცოტა“ უფრო საშიში საქმე იყო, ვიდრე პარლამენტის წინ „პალატებში“ თქვენი ავტორის დღედაღამ „დღიმა“ გახლავდა...

თუმცა, თქვენი საყვედური ჩემდამი მაინც არ საწყენია, როგორც ვთქვი, თქვენ რომ აღრინდელის შესახებ არა უწყოდეთ რა, ეს გასაკვირი არ არის...

ცოტადენ ის ამბავი დამაკლდა გულს, რომ, ალბათ ჩემი ნაკლებ-ცნობილობის გამო, ჩემს წიგნებში არ ჩავიკრავთ თვალს, თორემ იქ ამოკითხავდით, რომ აღრე არათუ ვდუმდი, არამედ ვემუხმობდი იმ კომუნისტურ ხელისუფლებას, რომელსაც თქვენ თურმე 28 ოქტომბრის შემდეგაც ფულს უხდიდით და მხოლოდ ავირ, ახლახან, სულ რომ აკრძალეს ის ღლინი გააძრეს, მაშინდა გამოუცხადეთ: რაკი პუტჩისტებს დაუკრებთ მხარე, აწი ფულს აღარ გაცდებდით და ჩვენი გაზეთის შემოსავალს ჩვენვე დავიცავდით უფრო გავრდილი რაოდენობით...

- ქართველებს ისტორიულად ზომ არ მოგვდგამს... ისტორიულობაო?
- მემბრანები კვლავ მოინიშნა — ქართველებს მსოფლიოში პირველი ადგილი ეკუთვნით... ძმაცაცობაო.
- მგელს უთხრეს „ქართველი ქართველისათვის მგელიაო“, — და კიდევ კარგი „მგელი მგელისათვის ქართველი არ არისო“.
- „ქართველი ხელი ხმალს იკარო“... განა ერთმეორისთვისაო.
- სახრემ შესჩივლა კეტს:

მე ზომ ვისპობი, ვისპობი, შენ როგორღა გაქვს საქმეო? ნუთუ ამქვეყნად ჩემსავით უდროოდ უნდა წახდებო? კეტმა მიუღო — მანამდე მე არ მომელის ბზარიო, სანამდე ქართველთა შორის კეტისტრიალი არიო.

ახსანა ჯაპრივილი.

საათი... გასტრონომია

გაგიკვირებთ, პატრიცეზული მეთოდებით, ასეთი სათაური. ან იქნებ იფიქროთ, რაიასი ბოდავს ავტორი. სხვასაც ამდაგვარი რამ რომ ეთქვა ჩემთვის, რა თქმა უნდა, არც მე დავიჯერებდი.

სხვის რა მოგახსენოთ და პირადად განვლით ამ საოცარი ფაქტის მომსწრე. 11 ოქტომბერს კოლესტასთან (კოტაილის რაიონში) ერთად რუსთაველის გამზირის დაგვიყვებო. არ იფიქროთ ტყუილ უბრალოდ. მას ელექტრონული საათის შემენა სურდა. შესვენების პერიოდში იყო და ყველა მალაზიაში, ბუნებრივია, ვერ შევიდოდით. ოპერისა და ბალეტის თეატრის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მალაზია „ოლიმპიკში“ შევიხედეთ.

— ქალბატონო, თუ შეიძლება, საათი მინდა შევიძინო. ხომ არა გაქვთ ელექტრონული? — უთხრა ჩემმა თანამგზავრმა.

— ელექტრონული? — გაიკვირა გამყიდველმა, — საათები, თანაც ელექტრონული, საკმაო ხანია აღარ გვქონია.

— კი, მაგრამ, ადრე რომ იყიდებოდა! — გაცხარებული ჩავვბიძაქით. — ახლა რაღა მონდა?

— ეჰ, ჩემო კარგო, მასე ნუ გავყვებით, თორემ... — რა ვქნა ახლა? — შეწუხდა ჩემი კოლეგა, — საათი ძალიან რომ მჭირდება?

— რა გიყვარ, ბიჭებო! ჩემი ბრალი რომ არ არის. — სცადა ჩვენი დამშვიდება გამყიდველმა. — ის-ისი მალაზიიდან გამოსულას ვაპირებდით, რომ ერთმა ამოღებდა და ღამისათვის ქალმა შეიძინა.

— საათი თუ გნებავთ, გვერდით გასტრონომიაში იყიდება.

— როგორ, გასტრონომიაში საათი? — გაკვირვებულმა თითქმის ერთდროულად შევიხებთ.

— დიან, დიან, — მოგვუხმა მან-

დილოსანმა, — თუ ჩემი ნათქვამი არ გჯერათ, შეგიძლიათ თავად დარწმუნდეთ.

მალაზია „ოლიმპიკიდან“ გასტრონომიამდე მისვლას რა დიდი დრო სჭირდებოდა, იმ წამსვე გასტრონომის მივსვით. გაცხივებისგან ორივეს თვალები გაგვიფართოვდა. მთაწმინდის რაიონის № 5 გასტრონომში მართლაც იყიდებოდა საათი „ჩაიკა“ 120 მანეთად.

— ალბათ, კომერციული ფასია? — ვკითხვთ ჩვენ.

— ნამდვილად ასეა, ორი-სამი დღის წინ შემოვიტანეთ, — მოგვიცხია გასტრონომში.

ის საათი ჩემს კოლეგას არ უყვაროდა, უნივერსალ „თბილისში“ შეიძინა თავისთვის სასურველი ნივთი.

ჩემთვის მაინც ვიფიქრე გასტრონომის ხელმძღვანელობაში მიმსახურებდა საათის აღება დახლიდან, მაგრამ, ნურას უკაცრავად მეორე დღეს, 12 ოქტომბერს, შეგებულად კვლავ შევიარე იმ გასტრონომში. „ჩაიკა“ თავის ადგილზე იდო.

აქედან გამომდინარე, ასეთი დასკვნა გამოვიტანე — გასტრონომის დირექციის უჭირს გვეგების შესრულება და თავისი სახელწოდებისათვის შეუფერებელი ნივთებიც კი შემოაქვს, ოღონდაც... ესე იგი, ამიერიდან საათების მალაზიაში ძეხვეული, ვერცხვი, შაქარი და კარაქი რომ ვხაზოთ, აღარ უნდა გავკვირდეს.

აფერუმ, თქვენს გონივრულ, რაციონალურად მიმართულ წამოწყებას მთაწმინდის რაიონის სუბსაბუჟაროსის განყოფილების მუშაკებო!

იქნებ, ახლო მომავალში ვინმე მიმდევარიც გამოვიჩნდეთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ამ საქმეში პირველობას თქვენ მაინც ვერავინ წაგართმევთ.

თეიმურაზ მორგოზია

1975 წელს თბილისის „დინამოს“ თავისი ისტორიის მანძილზე პირველად მოხდა ბრძოლა უმაღლესი ლიგაში ადგილის შესახარუნებლად. მომდევნო წლის დამდეგს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ „დინამოს“ უფროს მწვრთნელად დაინიშნა 38 წლის ნოდარ ახალკაცი. ეს პიროვნება უკვე საკმაოდ კარგად გახლდათ ცნობილი ჩვენი გულშემატკივრებისათვის. სამოციანი წლების შუა ხანებში იგი იყო „ბ“ კლასის გუნდის — თბილისის „ლოკომოტივის“ კაპიტანი. ცენტრალურ თავდასხმელ ნ. ახალკაცს პირდაპირ კარგი ტექნიკა, კარგად თამაშობდა თავით (როგორც პირდაპირი, ისე ვადატანითი მნიშვნელობით). მისი ძირითადი ნაკადი კი იყო დაბალი სისწრაფე, მოუქნელობა. სამოციანი წლების მიწურულში ნ. ახალკაცი უკვე „ლოკომოტივის“ უფროსი მწვრთნელია. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მიაღწია გარკვეულ წარმატებებს: 1969 წელს მოიპოვა ახლადშექმნილი პირველი ლიგის საფეხური. რაც მთავარია, „ლოკომოტივი“ იყო საინტერესო გუნდი, რომელიც საკმაო რაოდენობის მაყურებელს იზიდავდა. ამ კოლექტივში გაიარა „სტატირეა“ თვითღვივებით. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივი“ უდაოდ პერსპექტიული გუნდი იყო. მაგრამ იგი დამალეს „დინამოს“ ინტერესების „დასაცავად“ (საკუთარი ჩემპიონატზე მონაწილეობის ერთი მთავარი უარყოფითი მხარე ხომ ის იყო, რომ ყველაფერი ერთი გუნდისთვის კეთდებოდა, ქართულ ფეხბურთის უმკრძრადეს ფესვებს, თავკომბალს ამგავსებდნენ). ამის შემდეგ ნოდარ ახალკაცი ერთხანს ფეხბურთის სამმართველოს უფროსად მუშაობდა, ხოლო „დინამოს“ უფროს მწვრთნელად დანიშნამდე ორი სეზონის განმავლობაში იყო ამავე გუნდის უფროსი. აი, ამ კაცს ახდეს საქართველოს საუკეთესო გუნდის ბედი. ასე დაიწყო „დინამოს“ ისტორიაში ყველაზე წარმატებული ხუთწლიანი პერიოდი. უკვე 1976 წელს ჩვენმა გუნდმა ორჯერ დაიკავა მესამე ადგილი („საგაზაფხულო“ და „საშემოდგომო“ ჩემპიონატებში). ხოლო ორივე პირველობის გამგებ მებრე შედეგი მოიპოვა. იმავე წელს პირველად გახდა თბილისის მფლობელი. 1977 წელს „დინამოს“ „ვერცხლის“ პრიზორია. „ოქროც“ შექმნილი მოეპოვებინა. მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ ძალიან „ძლიერად ითამაშეს“ მსაჯებმა (შეგახსენებთ, სწორედ 1977 წელს მოეწყო ათობით სასი მსაჯურების სპონსორული საპროტესტო გამოსვლები სტადიონზე). 1978 წელს ჩვენი გუნდი სეზონის დამთავრებამდე გახდა ჩემპიონი. ამის აღსანიშნავად მოწყობილ საზეიმო შეხვედრაზე ნ. ახალკაციმ განაცხადა, რომ მთავარი ამოცანა წარმატების მოპოვება სავარაუდოდ ტურნირებშია. მართლაც, მომდევნო სეზონებში აქცენტი ძირითადად ევროპულ ტურნირებზე გაკეთდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში კი „დინამოს“ ზედიზედ ოთხჯერ დაიკავა მეორე ადგილი. უფრო წარმატებით ითამაშა თასზე, რომელიც 1979 წელს ხელმეორედ მოიგო, ხოლო მომდევნო წელს ფინალში დათმო. ნ. ახალკაცის თავდაცვითი „დინამოს“ დაამარცხა რამდენიმე მსოფლიოში ცნობილი კლუბი: „ინტერნაციონალ“ (მილანი), „ნაპოლი“, „ლივერპული“, „ფეიენოორდი“ (როტერდამი), „ვესტ ჰემი“ (ლონდონი)... 1981 წლის 13 მაისს კი იენის „ჰარლ ცაისის“ დამარცხებით მოპოველთა იქნა ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი პრიზი — ევროპის თასის მფლობელობა თასი. 1976-81 წლებში „დინამოს“ თანდათან სულ უფრო და უფრო დიდ სიმაღლეებს იპყრობდა. მაგრამ რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ამ ზეგლის პარალელურად ზეირდებოდა „ანტანალკაციის ტური“ კამპანია. გარკვეული ძალები „დინამოს“ უფროს მწვრთნელს უყენებდნენ არსებულად ყველა სახის პრეტენზიებსა და ბრალდებებს — როგორც წმინდა სპორტულს, ისე ზეინობის, აგრეთვე კომინალურს და პოლიტიკურსაც კი. იმხანად თბილისის ქუჩებში, უბნებში, განსაკუთრებით კი გულშემატკივრთა ტრადიციული თამაშის ადგილებში უთავადი „მოხალისე ავტორი“ დაუბოლოვდა, საკუთარი და მსმენელთა თავის ტიკვილამდე ქადაგებდა ახალკაცის მკვებლობას, მოუწოდებდნენ „ფართო მსგებს“ აღ-

ვინ არის ნოდარ ახალკაცი?

(დარილი პირველი)

იყო დრო, როცა მთელი თბილისი, მთელი საქართველო ფეხბურთზე ლაპარაკობდა. დღეს მივიწყებულია თვითონ ფეხბურთი. გულშემატკივრები დღეს წყველა-კრულდები ვხსენებთ, სამართლიანადაც, მაგრამ განა თვით იმ ხანაში არ იყო ნათელი წერტილები ჩვენს ცხოვრებაში? ცხადია, იყო და ერთ-ერთ ნათელ წერტილს წარმოადგენდა ფეხბურთი. იგი გვახსენებდა, გვახარებდა, გვინერგავდა ჩვენი მოღვაწის ძლიერების იმედს... ერთი სიტყვით, ფეხბურთი დიდ სამსახურს უწევდა ერს. მას დღევანდელ უმძიმეს ვითარებაშიც და სამომავლოდაც შეხვევს ერისაღმის მსახურების უნარი. თუნდაც ამიტომ არ ეგების ფეხბურთის მივიწყება. წინამდებარე წერილი ეძღვნება კაცს, რომლის სახელსაც ქართული ფეხბურთის უველაზე დიდი გამარჯვებები დაუყვანია.

საქართველოში ვის გააკვირვებ ადამიანს ქება-დიდებათ ან ღანძღვა-გინებით. ალბათ არ მოიძებნება შეორე ქვეყანა, სადაც თითქმის ყველა გამოჩენილ ადამიანს ადენი პოლარულად ურთიერთსაწინააღმდეგო ეპითეტითა და იარაღით ამკობენ. და მინც ქართველთა შორისაც კი ძნელია დახატელება კაცისა, რომელიც იმდენჯერ აუყვანოთ ცაში და იმდენჯერ გაესწორებინოთ მიწასთან, რამდენჯერაც ნოდარ ახალკაცი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თვით ბატონმა ნოდარმაც შეუწყო ხელი საზოგადოებაში მასზე უკიდურესად წინააღმდეგობრივი შეხედულებების ჩამოყალიბებას თავისი რთული დამოკიდებულებით პრესის მიუხედავად, საერთოდ გარწმობამოფრებთან; აგრეთვე იმიტომ, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე მყოფი ხშირად მიუღია, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური გადაწყვეტილებები. ჩვენი ფეხბურთის თავდაცვის ზოგიერთ, ჩემის აზრით, მცდარ გადაწყვეტილებებზე უკვე წერდა „ახალგაზრდა იურიდილის“ 13 და 27 აპრილის ნომრებში.

სამომავლოდ იმედია პირადად შეც, სხვა ავტორებსაც მოგვიცემა საშუალება დაწვრილებით ვიმსჯელოთ ნ. ახალკაცის მოღვაწეობის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე. ამჯერად კი ვკვირვებებს მხოლოდ ახალკაცი — მწვრთნელი.

მსდგარიყვენ „ტრანის“ დასამხობად... ახალკაცის საწინააღმდეგო ბრძოლაში ყოველწამოღვი ხასიათი მიიღო. დღეს განხილვაც კირს, მიუთმეტეს საგანგებო სტატიაში ჩამოთვლა შეუძლებელია ყველა იმ ბრალდებისა, რასაც მან ბატონ ნოდარ ახალკაცს უყენებდნენ. მაგრამ ბრალდებები უზოგადესად ასე შეიძლება დაგზუფდეს:

1. „დინამოს“ უდიდესი გამარჯვებები მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელების დამსახურებაა. ახალკაცს უბრალოდ ბედა გაუღია, რომ მისი მწვრთნელობის პერიოდს დაემთხვა მრავალი არაჩვეულებრივად ნიჭიერი ფეხბურთელი ერთდროულად ყოფნა გუნდში;
2. ახალკაცი არის ძალზე ცუდი „სელექციონერი“ — მის არ გამოუვლენია ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები, ხოლო უკვე გამოვლენილებს ვერ ურჩევს ამოღებას, ვერ უწყობს ხელს მათი ოსტატობის უმდგომ ზრდას;
3. წარმატებულ ახალკაცის გუნდმა მიაღწია თამაშის სანახაობრივი მხარის დაქვეითების ხარჯზე. ახალკაციმ დააქინა „დინამოს“ ტრადიციული ქართული სტილი;
4. ფეხბურთელებს ახალკაცი ეპყრობა უსამართლოდ, ზოგჯერ — არაადამიანურად, სადისტურადაც კი;
5. ახალკაცის ყველა გამარჯვება იყო „ჩაწყობილი“;
6. ახალკაცი არის კორუმპირებული პიროვნება. მის სინდისზე სისხლის სამართლის დანაშაულები (სამეურნეო მაქინაციები, მექრთამება და მისთ...), ეს ყოველივე, როგორც გვხსნის, პრესაშიც დასწამეს ბატონ ნოდარს;
7. ახალკაცი ესწრაფვის ქართული ფეხბურთის დაღუპვას. რადგან იგი თვითონ არაქართული წარმოშობისაა და სძულს ქართველი ერი.

აი, ეს ვახლავთ ნოდარ ახალკაცისადმი წაყენებული ძირითადი ბრალდებები, რომელთაც ესლა ზემოთმოტანილი თანმიმდევრობით განვიხილავთ.

I.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მწვრთნელობა — განსაკუთრებით ფეხბურთის მწვრთნელობა არის ერთი ყველაზე რთული და დაუფასებელი პროფესია მსოფლიოში. ცნობილ მწვრთნელებს ყველა ქვეყანაში უთვალავი ოპონენტი ჰყავთ. ქურნალისტებიც, რიგითი გულშემატკივრებიც აკონტროლებენ (სწორად კი უკირკიტებენ) მწვრთნელს ყველა ნაბიჯს. ყველა, სადაც კი არიან სახელოვანი მწვრთნელები, გაისმის მათადმი წაყენებული უთვალავი ბრალდება, მათს შორის ფანტასტი-

(გაბრძენა)
უნდა ითამაშონ იმ ადგილს და ისე, სადაც და როგორც სპორტსა და არა — როგორც თავად ეპირა-ნებათა იოლია მათი დაზღვევა უპირავე ტექნიკური ცდუნებისა, მათი რეჟიმის არტანხში მოქცევა... ამას გარდა სწორედ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული თათვის ჰერს ვარჯიშის მეთოდის შერჩევა; ნიჭიერებისთვის რომ განსაკუთრებით გამოკვეთილი ინდივიდუალურობაა დამახასიათებელი. ურთულესი საქმეა ერთიანი სათამაშო სისტემის შექმნა მკვეთრად გამოხატულ, კაპაში ინდივიდუალურობა. ურთულესი საქმეა გუნდის მომზადება კონკრეტული მატჩისთვის მატჩის ძლიერი და სუსტი მხარეების, მისი სტილის გათვალისწინებით.

დასავლეთში პროფესიონალურ კლუბთა მწვრთნელები აბსოლუტურად თავისუფალი არიან ყოველგვარი „სელექციური“ სამუშაოსაგან. მათ საქმე აქვთ უკვე სრულიად ფორმირებულ ფუნქციონირებაზე. და, მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელები განუწყვეტლივ უყენებენ პროფესიულ კლუბთა ხელმძღვანელებს ახალ-ახალი ვარსკვლავების ყიდვის მოთხოვნებს, დასავლეთში, კვლავ და კვლავ ვიმეორებ, ამას არავინ უკეთებდა მწვრთნელს. მაგრამ რაკი ჩვენში არიან ადამიანები, რომლებიც ამგვარი მოტივით უნდა ამოიღონ სტონი ბატონი ნ. ახალ-კაცის დამსახურება ჩვენი ფუნქციონირების წინაშე, ვთხოვ მათ, დასახელონ თუნდაც ერთი გუნდი, რომელმაც უკეთესი ფუნქციონირებით საერთაშორისო დონეზე მიაღწია დიდ წარმატებას.

ასეთი გუნდის დასახელებას ვერაფერს შესძლებს. ასე რომ, ნ. ახალკაცისათვის წაყენებული პირველი ბრალდება შეიძლება აპირორულად უარყვებოდეს. და მინც გვერდს ნუ ავუვლით კითხვას — ნუთუ მართლაც ესოდენ იბოლიან მწვრთნელი ნ. ახალკაცი? როგორც მისი უთვალავი ოპონენტები ამტკიცებენ? ნუთუ იმ დროს, როცა იგი უფროსი მწვრთნელი გახდა, „დინამოში“ იყვნენ ყველაზე უკეთესი ფუნქციონირებელი გუნდის მთელი ისტორიის მანძილზე, თანაც ნიჭის გავრცელების ასაკში მყოფნი და იდეალურად შეთამაშებულნი?

ვისაც ახსოვს სამოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის „დინამო“, დამეთანხმება, რომ ეს სრულიად არ იყო ასე. ცხადია, იმხანად, როგორც ყოველთვის, „დინამოს“ ჰყავდნენ უდაოდ დიდი ტალანტები. ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების დამდეგს გამოჩნდნენ თ. სტეფანია, შ. ხინჩაგაშვილი, მ. მაჩაიძე, გ. გუცაიძე, დ. ყიფიანი. მათგან საინტერესო გუნდი შეკრა დიდმა ანტიკლისტმა გავრილ კახალიძმა და ვახაბლ-გაბრძენებულ გუნდს ზედინდელ ორჯერ 1971, 1972 წლებში მოაპოვებინა „ბრინჯაოს“ მედლები. მაგრამ გ. კახალიძის ორ სეზონზე მეტხანს არ აცალეს მუშაობა. მისი წასვლის შემდეგ დაიწყო დინამო კრიზისი, 1975 წელს კი, როგორც უკვე ითქვა, „დინამო“-ს უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მოუხდა ბრძოლა. იმავე 1975 წელს გუნდი დატოვეს მ. ხურცილავამ, კ. ასათიანმა, მძებმა ნოდებმა, კ. გაგაშვილმა. 1976 წელს თითო-ორთა თამაშობა მიიღეს მონაწილეობა რ. ჰომეშვილმა, ვ. ქელოძემ, ზ. ებრაიძემ... და მიუხედავად ამ უმძიმესი დანაკლისისა, ჩვენი გუნდი არჩაბული აღმოკლობის გზაზე დადგა. ახლა გავიხსენოთ 1976 წლის შემადგენლობა: დ. გოგია, ნ. ხინჩაგაშვილი, ფ. კანთელაძე, შ. ხინჩაგაშვილი, დ. მუჭირი, ვ. კობალაძე, მ. მაჩაიძე, ვ. ქორიძე, ვ. გუცაიძე, დ. ყიფიანი, რ. ჩელეხაძე. იმავე წელს თანდათან დაიშვირეს ადგილი ძირითად შემადგენლობაში ა. ჩივაძემ და ვ. დარასელიამ. 1977 წელს გუნდს ქუთაისიდან შეემატნენ თ. გაბელია, თ. კოსტავა, რ. შეხველია, ხოლო 1978 წელს — თ. სულაველიძე. რა თქმა უნდა, დიდებული თობა იყო! დასახელებულია შორის არიან საერთაშორისო დონის ფუნქციონირებელიც, არიან უბრალოდ კარგი ფუნქციონირებელიც. მაგრამ „დინამო“-ს სხვა თაობებმა არანაკლები მოთამაშებები წარმოშვეს. ისეთი პეროდიც ყოფილა, როცა ერთდროულად უფრო მეტ ვარსკვლავს უთამაშო ჩვენს პირველ გუნდში. წარმატებებს კი ყველაზე მეტს ამ თაობამ მიაღწია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისმა

გუნდის პოტენციის ოპტიმალური რეალიზაცია. ამაში კი უსათუოდ მიუძღვის დამსახურება მწვრთნელს.


II.
როდესაც ბატონი ნოდარ ახალკაცის ცუდ „სელექციონერობაზე“ ლაპარაკობენ, უსათუოდ ახსენებენ ნოდარ ახალკაცს, როგორც გულ-შემატყვიერებს უყვართ თქმა, კოქეში ატყობდა ნიჭს ახალგაზრდას. მაგრამ ნოდარ ახალკაცის ანდრო ყორდანიასთან შედარება დაუშვებელია ორი მიზეზით: პირველი ის არის, რომ მათ სრულიად სხვადასხვა საფეხურით ეპოქებში მოუხდა მთავარი როლი. სამოციანი წლების — მითუმეტეს, სამოცდაათიანის — შემდეგ ა. ყორდანიას ტონის მწვრთნელი საერთოდ აღარისა გვეხვება. უმაღლესი ლიგისა და ევროპული ტურნირების მონაწილე გუნდის მწვრთნელს ბატონა ქალაქებსა

ლოგიური, ზნეობრივი, ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული... გათვალისწინება და გადაჭრა მართებს, რათა მისი ნიჭიერი ოსაზრდელები კარგ მოთამაშებულ-ჩამოყალიბდნენ და კარგ გუნდად შექმნან.

ნოდარ ახალკაცმა არსებითად ყველა თავის აღსაზრდელს მაქსიმალურად გამოავლენინა პირადი შესაძლებლობანი გავისხნოფ, როგორ ყალიბდებოდა ის დიდებული „დინამო“.

თავდაპირველად (1976 წ.) ნ. ახალკაცმა შექმნა გუნდის ლერი; ხინჩაგაშვილი — მ. მაჩაიძე — ყიფიანი — გუცაიძე, რომელთაგანაც თითოეული უდაოდ ექსტრა-კლასის ოსტატთა რანგს განეკუთვნება. მაგრამ ასეთებდა მათ დღეს ვთვლით და ზოგჯერ გავიწყდება, რა რთული გზის გავლა მოუხდათ აღიარებად.

შოთა ხინჩაგაშვილმა მაშინვე მიიპყრო ყურადღება, როცა ცხრა-



არც კი შეგებია მეტოქეს), კართან ყველაზე ახლო მოთამაშეს, არასოდეს გაუტანია ავტოგოლი, არასოდეს იგერიებდა ბურთს უმისამართოდ — მხოლოდ ზუსტი პასით... შოთა ხინჩაგაშვილი ისეთსავე როლს თამაშობდა დაცვის ორგანიზებაში, როგორსაც დავით ყიფიანი შეტევის ორგანიზებაში. უკვე ვთქვამ, რომ მოედანზე შოთა ნაკლებად ჩანდა. არც საძირკველი ჩანს, მაგრამ მის გარეშე არ აიგება სართულები. ამპლუსის სწორად შერჩევის შემდეგ ხინჩაგაშვილი „დინამოს“ საძირკველად იქცა.

შოთა ხინჩაგაშვილის ბედთან ბევრი რამ აქვს საერთო „დინამოს“ მეორე ბურჯის დავით ყიფიანის ბედს. ისიც სიყმაწვილის ასაკიდან მოეცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში, მაგრამ წლების მანძილზე ვერაფერს შესძლო მისი ამპლუსის განსაზღვრა. ხან ერთ ფლაზზე თამაშებდნენ, ხან მეორეზე, ხან წმინდა ცენტრფორვარდად თუ ნახევარმცველად. მხოლოდ ახალკაცმა ამოიცნო მისი მოწოდება — დისპეტერის პოსტი. ამიტომ ყიფიანის ტრიუმფიც საკმაოდ გვიან, თითქმის ოცდახუთი წლის ასაკში დაიწყო.

კარგად მახსოვს ნოდარ ახალკაცის ინტერვიუ მიკემული ქუჩის „ციხისკრისთვის“ 1976 წელს, რომელშიც იგი პირდაპირ ნორტასასამდა იმ დროისათვის სხვა პერსპექტიულ ფუნქციონერთაგან თითქმის არავითარ გამოჩენულ დ. ყიფიანს, მახსოვს იმათი ქირქიციკ ვინც შემდეგ „სელექციონერის“ ნიჭს აუქონეს უკეთესებდნენ „დინამოს“ უფროს მწვრთნელს — რა შენიშნა ახალკაცმა ასეთი განსაკუთრებული ყიფიანობა?!

ცხადია, რომ ყველა ფუნქციონერისათვის ახალკაცს არ აღმოუჩენია ამპლუსა. მანუხარ მაჩაიძისა და ვლადიმერ გუცაიძის ადგილები იმთავითვე სრულიად ნათელი იყო. მაგრამ ნოდარ ახალკაცის მიერ საათითვე აწყობილ გუნდში მათი ნიჭი განსაკუთრებით აკმაყვებდა არც ერთ ფუნქციონერს არ ჰქონია მისებრ წარმატებული დებიუტი „დინამოში“. მაგრამ შემდეგ უზენიერად მოთამაშე, ამორფულ გუნდში გუცაიძეც გაფერმკრთალდა. 1976 წლიდან მოხდა მისი ხელმეთრედ დაბადება.

ნ. ახალკაცმა გამოიყვანა დიდ სარბილზე მანამდე სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი ალექსანდრე ჩივაძე და ვიტალი დარასელია. ჩივაძეს თითქმის მთელი 1977 წლის სეზონი გააცდენინა ახალკაცმა, რადგან თვლიდა, რომ მის ფიზიკურ მომზადებაში შეცდომები იყო და შეეშული და თავიდან მომზადება სპირდებოდა. შემდეგ შეუცვალა ამპლუსა (დაცვაში გადაიყვანა) და მივიღეთ კიდევ ერთი ვარსკვლავი.

განსაკუთრებით ბევრს საყვედურობდნენ ბატონი ნოდარს იმის გამო, რომ იგი ძალიან ბევრ „შავ სამუშაოს“ ასრულებდებოდა ვიტალი დარასელიას, ამ განსაცვიფრებლად მრავალმხრივ ფუნქციონერს. მაგრამ ვილკას ხომ „შავი სამუშაო“ უნდა ეკეთებინა. ვიტალი დარასელია — ბუნებისაგან დავილდობებული იყო საოცარი შრომისუნარიანობითა და მებრძოლი თვისებებით, იმხანად სრულიად ახალგაზრდა იყო. დღეს მწელი იმის თქმა, როგორ ფუნქციონერად ჩამოყალიბდებოდა საბოლოოდ მას ახალკაცი; როცა უკანასკნელად ჩაიკვა „დინამოს“ მაისური, ვიტალი ხომ მხოლოდ 24 წლისა იყო. მან საერთოდ ვერ მიაღწია

იმ ასაკს, რომლიდანაც ყიფიანისა და ხინჩაგაშვილის ნამდვილი საფეხურით კარიერა დაიწყო. ქუთაისიდან იმხანად გადმოყვანილი თბილის ფუნქციონერი ორგანიზაციის მთავარი „დინამოს“. მხოლოდ თამაშის კონტაქტში, ამ ბრწყინვალე მცველმა ვერ მიქვა ბოლომდე თავისი სიტყვა მძიმე ტრავმის გამო.

ყველა ის ფუნქციონერი, ვისაც სიჭაბუკეში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ახალკაცმა აქცია ვარსკვლავებად. მან ვარსკვლავად აქცია თენგიზ სულაქველიძეც, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში საშუალო კლასის „მუშა“ ფუნქციონერად სთვლიდნენ. „დინამოში“ მოწვევის შემდეგ თენგიზ სულაქველიძე დამცველის ნაცვლად ნახევარმცველად მოგვევლინა და სწორედ ამ ამპლუსაში გაუწია გუნდს ფასდაუდებელი სასახური, თუმცა პირველ მატჩებში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაგმოჩენილმა ნახევარმცველმა.

ისიც გავიხსენოთ, რამდენ ფუნქციონერს, საერთოდ უპერსპექტივოდ მიჩნეულს და ფაქტიურად დიდი ფუნქციონერად გაძევებულს, მოუძებნა ადგილი და თავისი სიტყვა ათქმევინა ნ. ახალკაცმა. მრავალწლოვანი მივიწყების შემდეგ დააბრუნა მან ფორუბ კანთელაძე და ვანტანე ქორიძე. ამპლუსა შეუცვალა გოგია მაჩაიძეს და სუსტი ნახევარმცველი კარგ მცველად აქცია. რაც შეეხება რევაზ ჩელეხაძეს, მისი ფუნქციონერობა ამჟამინდელ მხოლოდ ნ. ახალკაცს სწამდა. ჩელეხაძე თავდაპირველად ოდნობურად ფიგურა იყო. ტრიუმფები მას სტვენით, არამეგობრული ყიფიანი ეგებებდნენ, მაგრამ ახალკაცი აქაც გამართლდა. ჩელეხაძემ ნაკრებშიც კი თამაშა, რაც ჩვენი მაყურებლისთვის მსოფლიოს მერვე საოცრება იყო. თუმცა ჩვენს გვახსოვს ისიც, როგორ გადაუხდა მალღობა რევაზ ჩელეხაძემ თავის მასწავლებელსა და კეთილსმყოფელს — გამოლანძო ქვერ საკავშირო, მერე რესპუბლიკურ სპეცსპორტს, ალბათ იმაზე დაბოლოვდა, რომ უმთავრესად სათამაშო გარემოთა სკამზე უწევდა ჯდომა. მაგრამ განა ნოდარ ახალკაცის ბრალი იყო, რომ ყიფიანი, გუცაიძე და შენგელია ჩელეხაძეზე მალღობ კლასის ფუნქციონერები იყვნენ?

უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალკაცის „ეპოქაში“, ანუ ზუთი-დღე წლის მანძილზე, „დინამოდან“ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს ცამეტი ფუნქციონერი: გაბელია, კოსტავა, ხინჩაგაშვილი, ხინჩაგაშვილი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, სულაქველიძე, გუცაიძე, ყიფიანი, შენგელია, ჩელეხაძე, და ეს, მიუხედავად სამიწვილი შოკინიზმისა, რომელიც მაშინ მძინვარებდა საბჭოთა ფუნქციონერებს!

ცხადია, ახალკაცი ვერ აქცევდა ფუნქციონერად ყველას, ვინც მისი მწვრთნელობის პერიოდში ჩაიკვა „დინამოს“ დუბლიორთა ან ძირითადი შემადგენლობის მაისური. მან ბევრი ფუნქციონერი „დაიხო“ და საეულისსმო, რომ მის მიერ დაწუნებულთაგან, თუმცა კი ბევრი გადავიდა სხვა გუნდებში, ვერცერთმა ვერ დაამტკიცა, რომ ნოდარ ახალკაცი შეიტყა, ვერც ერთმა არსებითად ვერაფრით ვერ გამოიჩინა თავი.

ნუთუ ყველა ამ ფაქტის შემდეგ სადაც უნდა იყოს ნოდარ ახალკაცის, როგორც მწვრთნელის, უმაღლესი კვალიფიკაცია?!

შინ არის ნოდარ ახალკაცი?

და სოფლებში სასიარულოდ, ბავშვთა, ყმაწვილთა, კუბუთა უთვალავ ტურნირზე დასასწრებად უბრალოდ აღარ სცალია. ამიტომ აღარც არავინ ავალეს ამას. ისევე როგორც ადამიანთა საქმიანობის ყველა სხვა სფეროში, მწვრთნელთა საქმეშიც მოხდა პროფესიონალური დიფერენციაცია, განჩნდა ვიწრო სპეციალობები. დღეს თუნდაც ყველაზე დიდი ქიმიკოსები და ლიტერატორები აღარ ითვლებიან ქიმიის და ლიტერატურის ყველა სფეროს სპეციალისტებად. არც მწვრთნელს უნდა მოვხიზოვით გაწვევას მთელს ურთულესს, მრავალსაფეხუროვან საფეხურთა მეურნეობას.

ანდრო ყორდანიას თავის დროზე იყო გუნდის მოთამაშეც, კაპიტანიც, მწვრთნელიც, „სელექციონერიც“, ისიც, რასაც დღეს გუნდის უფროსი ჰქვია, ისიც, რასაც დღეს ჰქვია გუნდის ადმინისტრატორი, თუ გაკვირდებოდა — ექიმები და მასაჟისტები... ერთი სიტყვით, საერთოდ ყველაფერი იყო თავის გუნდში ანდრო ყორდანიას. მაგრამ ეს იყო ოციანი წლებში. დღეს ამას ველორავთ შესძლებს. აი, ეს არის პირველი მიზეზი იმისა, რატომ არ უნდა შევადაროთ ერთმანეთს ნოდარ ახალკაცი და ანდრო ყორდანიას.

მეორე მიზეზი: ანდრო ყორდანიასთან ვისიმე შედარება შეუძლებელი და დაუშვებელია იმ მიზეზითაც, რომ იგი სრულიად შეუდარებელი იყო. იგი იყო ფენომენი ფუნქციონერი. და როგორც ყოველგვარი ფენომენი — სრულად აუხსნელი, განსაცვიფრებელი. ყორდანიას ბადალი მწვრთნელი — მისი რეალური მიღწევების გათვალისწინებით — მსოფლიოში არ არსებულა. ამიტომ რომელიმე მწვრთნელის შედარება დიდ ანდრო ყორდანიასთან, ჩემის აზრით, არაკორექტული საქციელია, ყველა პოეტისა და მოქანდაკის შეგვიძლია ვუწოდოთ „ცუდი“, თუკი მას რუსთაველს ან მიქელანჯელოს შევადროთ!

თანამედროვე უმაღლესი დონის კლუბის მწვრთნელს ვეალება მოზარდთა მწვრთნელების შერჩევა აზრდითი და მომზადებული კუბუკების გამოყვანა დიდ საფეხურთა სარბილზე, მათი ოსტატობის შემდგომი ზრდისთვის ხელის შეწყობა, მათი შეკრა პროფესიულ გუნდად.

ყოველივე ეს კი გულისხმობს ოსტატობა (პროფესიონალითა), კლუბში მოსული ახალგაზრდის, პირველყოფისა, პირველადი, მოქალაქეობრივად მომზადებას დიდი სპორტისთვის. მწვრთნელს ევალება ახალგაზრდის პიროვნულად ჩამოყალიბება, მისთვის საუკეთესო ძალების რწმენის შთაწერვა, მწვრთნელმა უნდა შეუჩინოს ახალგაზრდას ამპლუსა და წვრთნის შესაბამისი მეთოდოლოგია ათეულზე მეტი ადამიანისგან მწვრთნელმა უნდა შექმნას კეთილგანწყობილი, მეგობრული კოლექტივი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საფეხურთა კოლექტივის შექმნაზე ფიქრი. ეს კი, ვასაგებია, რაოდენ სიბრძნეს, დიპლომატიას, ტაქტს მოითხოვს. მწვრთნელს საერთოდ უთვალავი პრობლემის წმინდა სპორტული, ფსიქო-

მეტი წლისამ პირველად ითამაშა „დინამოს“ მარცხნა მცველის ადგილზე. იმ პირველი თამაშის შემდეგ მიკემული ტელეინტერვიუში გ. კახალიძმა თქვა: „ეს ბიჭი შორს წაიგა“. მაგრამ მალე შოთამ უმძიმესი ტრავმა მიიღო, რომელიც წლების მანძილზე ახსენებდა თავს და მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გამოჩნდებოდა ხოლმე მინდორზე. როგორც თავად თქვა ერთ ინტერვიუში, 1975 წელს მისი გუნდიდან დათხოვნაც კი ჰქონდათ გადაწყვეტილი. 1976 წლის სეზონის პირველსავე მატჩში ყველასათვის მოულოდნელად ხინჩაგაშვილი ცენტრალური მცველის ადგილზე მოგვევლინა. იმავე ინტერვიუდან ვიგებთ, რომ ნოდარ ახალკაცის ეს „ახილება“ თვით ფუნქციონერსაც სრულიად გაუგებრობდა მისჩვენება და სასაბურთალოდ უთქვამს ამპლუსის შეცვლაზე. მაგრამ ახალკაცი ხომ განთქმულია თავისი საარაკო „სიკეთული“ მან ამჯერადაც გაიტანა თავისი და: სწორედ ამ „სიკეთის“ წყალობით, შ. ხინჩაგაშვილი როგორც იქნა, დააღვა კახალიძისგან წაწინასწარმეტყველებ დიდ სპორტულ გზას.

გაიკრკა, რომ ცენტრალური მცველის ადგილზე თამაში ვაცილებით უფრო ნაკლებ საფრთხეს უქმნდა მის განმრთელობას, რადგან დაცვის ფლანგისაგან განსხვავებით აქ აღარ იყო სპორტი დიდ რაოდენობით მცვეთი მოძრაობების შესრულება. ამასთანავე დიდი სასარტო სისწრაფის განვითარება და ცალი ფეხით ვარდნებიც ცენტრალურ მცველს გარე მცველზე შეუდარებლად ნაკლებად სჭირდება. მოკლედ, შოთა ხინჩაგაშვილს, როგორც იქნა მიეცა ფიზიკური საშუალება თამაშისა.

ეს ფუნქციონერი ყოველთვის ჩრდილში რჩებოდა იმის გამო, რომ არ იყო ბომბარდირი, ფინტებისა და დრიბლინგის ოსტატ. მაგრამ შ. ხინჩაგაშვილის გარეშე „დინამოს“ წარმოდგენა შეუძლებელია. ის იყო იდეალური ცენტრალური მცველი და პირდაპირ საოცარი, რომ ახალკაცის დანიშნვამდე, ანუ 25 წლის ასაკამდე, ვერაფერს უპოვნა ადგილი. შოთა ხინჩაგაშვილზე ძალიან ბევრის დაწერა შეიძლება. და არის კიდევ საქორბის მასზე წერა, რადგან იმ დროსაც, როცა იგი თამაშობდა, ფუნქციონერად წასვლის შემდეგაც მას იშვიათად იხსენებდნენ. ამჯერად ძალიან რომ არ დავმორდეთ ჩვენი სტატის მთავარ გმირს, ნოდარ ახალკაცს, მოკლედ ვიტყვი. სწორედ ცენტრალურ მცველად განდომის შემდეგ გამოავლინა ხინჩაგაშვილმა დაცვის ორგანიზატორად უდიდესი უნარი, საოცარი საფეხურთა აზროვნება, ადგილის შეჩვენება და პარტიკორის დაზღვევის უბედლო ნიჭი. გამოჩნდა, რომ იგი ფაქტიურად დაუმარცხებელია მეტოქესთან პირისპირ ორთაბრძოლაში. ხინჩაგაშვილი იყო იმდენად დახვეწილი მცველი, რომ არასოდეს მიუყენებია რამეგვარი ტრავმა მეტოქისათვის, არასოდეს გაუკეთებია პენალტი (იყო მხოლოდ ერთი გამოხიჯვის მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩში, მაგრამ ეს პენალტი მთლიანად მსაჯის სინდისზეა. შ. ხინჩაგაშვილი



კომპიუტერული ტექნიკისა და ინფორმაციის
სამეცნიერო-ტექნიკური ასოციაცია

ტერმინალი
TERMINAL



ბთავაზობთ:

კომპიუტერულ საგამომცემლო სისტემებს ქსელური უზრუნველყოფით, რომლებიც შეიცავენ: მთავარი რედაქტორის, რედაქტორების, კორექტორის, დამკაბადონების საშუალო ადგილებს IBM PC/XT/AT კომპიუტერების ბაზაზე.

საგამომცემლო პოლიგრაფიულ სისტემებს ფერადი ან შავ-თეთრი შესრულებით, ოფსეტური და რიზოგრაფიული ტექნოლოგიური ხაზით.

ფაქს-მოდემურ ადაპტერებს IBM თავსებადი პერსონალური კომპიუტერებისათვის ხაზის გამტარუნარიანობის ანალიზატორით, რომელიც სრულყოფილად ცვლის ძვირად ღირებულ ტელეფაქსის აპარატს, არ მოითხოვს თერმოქაღალდს, თერმოლენტს და გააჩნია ტელეფაქსთან შედარებით გაცილებით მეტი საშუალებები.

ლოკალურ და გლობალურ კომპიუტერულ ქსელებს IBM - თავსებადი პერსონალური კომპიუტერებისათვის „SPRUT“-ის ტიპის ქსელური უზრუნველყოფით.

ყველა ხაზის კომპიუტერული საბეჭდი მოწყობილობების საღებავი ლენტის აღდგენას, გაახლებას ან გამოცვლას. ლენტი აღდგენის შემდეგ ინარჩუნებს თავის თვისებებს. (აღდგენის ღირებულება 15-დან 49 მანეთამდე ლენტის კეტირის ზომის მიხედვით).

პერსონალურ კომპიუტერებში სხვადასხვა პროგრამული პაკეტის არასანქცინირებული გამოყენებისაგან დაცვის უნივერსალურ პროგრამულ-აპარატურულ სისტემას - „პ30 პაქლი“, რომელიც უცხო პირებისათვის „შეუღწევადს“ ქმნის ნებისმიერ პროგრამულ პაკეტს.

თუკი გაგიჩნდებათ რაიმე პრობლემა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ მოგვმართეთ ჩვენი ჩვენი ფაქსები და მომსახურების ხარისხს არ აფუჭებს გუნება-განწყობილებას. საკონტაქტო ტელეფონები: 93-00-39, 93-49-87 (სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი); 98-87-53 (კომერციული ცენტრი)



საერთოველმს გავრცელება ფედერაცია, სახელმწიფო
— „ბატარა მამულიშვილი“ ტურისტული ბიურო
ბთავაზობთ საინტერესო მოგზაურობებს შემდეგ
ქვეყნებში:

- 1. კრუიზი ხმელთაშუა ზღვაზე (საბერძნეთი, თურქეთი, ეგვიპტე, კვიპროსი). მოგზაურობა გემით, 3-ჯერადი კვება და ცხოვრება I და II კლასის კაიუტებში. ვახურდავებთ 200 დოლარს.
- 2. კრუიზი — დუნიზე 30/XI—17/XII (უნგრეთი, ავსტრია, გერმანია, ოფსოლავია). მოგზაურობა გემით, 3-ჯერადი კვება და ცხოვრება I და II კლასის კაიუტებში.
- 3. ჩინეთი—იაპონია 10/XII—8/I—91წ. (ნასოდკა—კომო—სანხაი—ტოკიო) გემი „პეტროპავლოვსკაია“
- 4. უნგრეთი — ბუდაპეშტი — ყოველთვე.
- 5. გერმანია — შერლინი — ყოველთვე.
- 6. ქ. მოსკოვი — ჩინეთი (პეკინი) — მოსკოვი
- 7. რუმინეთი — ყოველთვე
- 8. პოლონეთი — ყოველთვე
- 9. ოფსოლავია — ქ. ულციანა. დასვენებით ზღვაზე საგზურები შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. ორგანიზაციიდან მიიღება კოლექტიური და ინდივიდუალური შეკვეთები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართით: ლუბონტოვის ქ.18. საქართველოს ბავშვთა ფედერაცია, ტურისტული ბიურო „თანატოლო“. ელმ. 93-66-13, 93-99-15.

უნივერსიტეტი „გეორგი“

იცხადებს დამატებით მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. ქართული ენა და ლიტერატურა, 2. ისტორია და ეთნოგრაფია, 3. უცხოელი ენები: ინგლისური, გერმანული, თურქული (ქართული და რუსული სექტორები), უნივერსიტეტს აქვს 2 სასწავლო კორპუსი დიდუბეში და საბურთალოსზე, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ვიდეო-აუდიო და კომპიუტერული აპარატურით. უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია თბილისის უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი პროფესორ-მასწავლებლებით.

სწავლება 5-წლიანია, გადისახადი 6000 მანეთი ყოველწლიურად (ნაღდად ან გადარიცხვით). უნივერსიტეტს მინიჭებული აქვს სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის გაცემის უფლება და სარგებლობს იმავე უფლებებით, რაც აქვს ნებისმიერ სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს. საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე 1 ნოემბრამდე 10 — დან 18 — მდე, სწავლა დაიწყება 4 ნოემბერს ყველა შემთხვევაში. აბიტურიენტი უნდა წარმოადგინოს

შემდეგი საბუთები: 1. საშუალო ან საშუალო-სპეციალური განათლების ატესტატი, 2. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 3. განმარტობის ცნობა, 4. რ ფოტოსურათი 3 X 4 — ზე, 5. პასპორტი. მიმღები კომისიის მისამართია: ვიფა — ფშავლას 61, II კვირტალი, 151-ე სკოლა. პეტრო „დელისი“ (მილიციის უკან, პროფილაქტიკის გვერდით). მანქანით მისასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან. ტელეფონები: 66-11-28, 66-84-53, 31-18-68.

თბილისის საბავრო
გეურნეობის ინსტიტუტი

იცხადებს მიღებას 1991—1992 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერი; 2. წარმოების მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორი); 3. საფინანსო და საბიზნო საქმიანობის მენეჯერი; 4. სამართალმცოდნეობა (ქართული და რუსული სექტორი); 5. ბიზნესის რეკლამა (დერეფრა, გრაფიკა, კომპოზიცია და დიორატიული გამოყენებითი ხელოვნება). კომერციული საქმიანობის მენეჯერი. შენიშვნა: ინსტიტუტში უფრო-ცდოდ ჩაირიცხებიან ზოგად-საგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქროს და ვერცხლის მედალზე კურსდამთავრებულები და უმაღ-

ლესი განათლების მქონე პირები. თითოეულ სპეციალობაზე მისაღები კონტინგენტის 50 პროცენტის ფარგლებში: (ბიზნესის რეკლამის სპეციალობაზე — სპეციალური სამხატვრო სასწავლებლების წარჩინებულ კურსდამთავრებულები). საკონკურსო გამოცდები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის, წარმოების მენეჯერის, საფინანსო და საბიზნო საქმიანობის მენეჯერის, კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობებზე ტარდება შემდეგ საგნებში: ა) მათემატიკა (ზეგირი), ბ) მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე: ა) სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები (ზეგირი), ბ) მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ბიზნესის რეკლამის სპეციალობაზე: ა) სპეციალობა

(ფერწერა და ხატვა), ბ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა). ინსტიტუტში სწავლება ორციკლიანია: 1. ციკლის (ოთხწლიანი სწავლება) კურსდამთავრებული სტუდენტი დებულობს უმაღლესი განათლების შესაბამის დიპლომს, ხოლო II ციკლის (ექვსწლიანი სწავლება 4—2) კურსდამთავრებული — დიპლომს ინსტიტუტის სრული კურსის დამთავრების შემდეგ. მიღწეულია წინასწარი შეთანხმება სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებთან კადრების მომზადებაში საქმიანობის ასოციაციების შესახებ. სწავლაში წარჩინებულ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, გაიარონ სტაჟირება უცხოეთის წამყვან სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში. სწავლა ფასიანია. სწავლის საფასურის გადახდა წარმოებს როგორც ნაღდი ანგარიშსწორების გზით, ისე გადარიცხვით.

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების მოწმობა, 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), 3. ამონაწერა შრომის წიგნაიდან, 4. ფოტოსურათი 6 ცალი (ზ. 3X4), 5. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (პირადად). საბუთების მიღება წარმოებს 10—დან 25 ოქტომბრამდე, 12 სთ — დან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, საბურთალოს რ — ნი, ბუდაპეშტის ქ.18, №18 პროფტექნიკური სასწავლებელი. ცნობები ტელეფონით: 37-12-33, 37-63-81; დღე კარის დღე აბიტურიენტებისა და მშობლებისათვის გაიმართება 26 ოქტომბერს, 15 საათზე. რამბორატი



ფირმა „ლგვ“
ბთავაზობთ:

კედლის მოსაკირკეთებელ ხის კანელს, სხვადასხვა სახეობის აკვას, კერპოდ: საპინეპელი ოთახის ბარნიტურს, რბილ აკვას, ტახტს, მაგიდას ტალე-პიდმო აპარატურისთვის და სხვა სახეობის საქონელს. მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი თავდადაშულის ქ. №6

იყიდება ორსართულიანი ბინა ეზოთი. ეზოს ფართი 1,5 ჰა. საბარაქო, სტალინის ქუჩა №212. მსურველებს შეუძლიათ მოგვაპითხონ: საბარაქო, ჯაფარიძის VII შპს. სახლი №3, ტელეფონი 38-78, თედიაშვილი ედიშერი.

ზუსტი დიაგნოზის დასმით და ბიოენერგოთერაპიული სამკურნალო სეანსებით, აგრეთვე სამკურნალო ბალახების გამოყენებით — მოსკოვის სახალხო მედიცინისა და საბჭოთა კავშირ, ამერიკა-კანადის ერთობლივი ფირმა „გუდმაის“ დიპლომირებული პირველი კატეგორიის ექსტრასენსი მერი დვალისვილი მკურნალობს შემდეგ დაავადებებს:

1. ვენების გაგანიერებას (ბალახებით შეხვევა)
2. ოსტეოქონდროზს — ხერხემლის მწვავე ანთებას (ბალახური სეანებით)
3. უნებლიე შარდვას, როგორც ბავშვებში, ასევე მოზარდებში.
4. შარდის შეზღუდვას, საშარდე ბუშტის ანთებას
5. პროსტატას და პროსტატიტს (წინამდებარე დამზარე სასქესო ჯირკვლის ანთება)
6. სმენის დაქვეითებას (ბალახური მეთოდებით და სეანებით), უფრო ხშიურსა და ქვილის მოსპობას.
7. მასტოპათიას (ძუძუს ტკივილი).
8. საჭდომი ნერვის ანთებას.
9. ნევროზს — უძილობას.
10. მაღალი და დაბალი წნევის მოწესრიგებას.

ვაჟა-ფშაველას 39.
4 სადარბაზო I სართული
39-65-65 (მეტრო დელისთან)
მერი დვალისვილი.

ყურადღება, დანია!

გეგმატით ყველას! განსაკუთრებით ახალ-დაქორწინებულთ, საუცხოო, ჯადოსნურ მოგზაურობაში თბოვასლით, ხალხისაფრო ფასებში, ამა ფლის 13 ნომბრიდან მარშრუტით:

თბილისი — სანკტ-პეტერბურგი — კოპენჰაგენი.

ინჰარეთ, შეიქმნება ერთი ფუთის დაფიქრებაგაც კი საგზურის გარეშე დაბტოვით.

გელოდებით დღეიდანვე 10.00 სთ-დან 19.00 სთ-მდე

მისამართი: გუდაპეუტის №1. ტელეფონი: 37-58-25

ფირმა „ტს“

ფირმა „თბილისი — 2000“

კლასიკური სამედიცინო განათლება, წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული სამკურნალო მცენარეების გამოყენება, ბუნებით მომადლებული იშვიათი ბიოველი — ასეთია პროფესიონალი ექიმი-მედიკოსი ქალბატონ **მანანა თოღუაშვილი** სამკურნალო საშუალებათა არსენალი.

ქალბატონი მანანა ქალაქ მოსკოვის ხალხური მედიცინის ცენტრის კურსდამთავრებულია, სადაც ამ დარგის სპეციალისტთა მაღალი შეფასება დამსახურა. მის მიერ დასმული დიაგნოზი უტყუარია, ხოლო სამკურნალო საშუალებათა ფართო დიაპაზონი ფრიად ეფექტურია ნერვიული სისტემის, გულსისხლძარღვთა, სასუნთქო, კუნთოვანი, შარდსასქესო და სხვა ორგანოთა დაავადებების დროს.

ქალბატონი მანანა თოდუა ავადმყოფს იღებს ქ. თბილისში, ასათიანის ქ. № 7^ა. შესასვლელი ვაჟა-ფშაველას პროსპექტიდან, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატის ეზოში.

მიღების საათები: ყოველდღიურად გარდა ორშაბათისა 17 საათიდან — 21 საათამდე.

წინასწარი ცნობებისათვის და ჩაწერისათვის დაგვიკავშირეთ: ტელეფონი 36-07-79

მრავალდარგოვანი კოოპერაციული ფირმა „თბილისი — 2000“

კოოპერატივი „ფუნდამენტი“

ჰყიდის: რიგის გამოშვებულ ფუტურის ამოსაღებ გენერატორს, თითოეულ გენერატორს მოჰყვება 10 ცალი შხამის შესაგროვებელი, შპალურის სახატე დანადგარებს, ხის დამამუშავებელ საფრეზო დანადგარს, ხის საჭრელ ცეკ-5-ს.

კოოპერატივის მისამართი: ქ. გორი პუშკინის ქ. № 2^ა ტელ. 2-62-73

მცვლი ერთობიან, ტელეფონიან, სარდაფიან, გამოსყიდულ კოოპერატიულ ბინას ბ. ხმელნიცის ქუჩიდან (სააფთხოვო ქარხანასთან) ოთახნახევრიან ან ერთოთახიან ბინაზე დიდუბის, დილომის და საბურთალოს რაიონებში. ტელეფონები: 71-73-27, 95-22-64.

ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „შაენაბადა“ იწვევს 9-დან 14 წლამდე ასაკის სტუდია დამთავრებულ ვაჟებს. მისამართი ფონიჭალა 3. 70-ე საშუალო სკოლა. ქორეოგრაფი თ. დაუშვილი.

„სოლიდური“ კერძო ორგანიზაცია იწვევს ახალგაზრდა, ენერგიულ, მაღალკვალიფიკაციის მქონე პიროვნებას მთ. ბუღალტრის თანამდებობაზე. ტელ. 37-00-07 10-დან 20-მდე.

ყურადღება

თბილისში დაიწყო ავადმყოფთა მკურნალობა ძველი ტიპატური მედიცინის „მენცოიკანის“ მეთოდებით, სადაც ფართოდ გამოიყენება ფუტურის შხამი, ფუტურის რძე, ფუტურის მტვერი, დინდგელი, ბიოლოგიურად აქტიური მცენარეული ეთერზეთები და სამკურნალო მცენარეები. ამ მეთოდს არ აქვს ანალოგი მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში.

ამ მკურნალობენ კუჭისა და თირკმელთა ნაწლავის წყლულოვან დაავადებებს მკურნალობის ხანგრძლივობა 24 დღე, ნეფრიტებს მკურნალობის ვადა 30 დღე, ქრ. პეპტიტს და ქოლეციტიტს მკურნალობის ვადა 30 დღე, ბუასილი მკურნალობის ხანგრძლივობა 15 დღე, რადიკულიტის მკურნალობა 12 დღე.

მკურნალობას ხელმძღვანელობს ექიმი ვანო გუგუშვილი.

მისამართი: გამსახურდიას 10, რკინიგზის II პოლიკლინიკა. მიღება ყოველდღე გარდა შაბათ კვირისა 16 საათიდან 19 საათამდე.

კომერციული ფირმა პერ-სონალური მომსახურებისათვის მძლოლად საშუალოდ იწვევს ავტომანქანა „ვოლგის“ კერძო მფლობელს, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ტელეფონი ბინაზე.

ანაზღაურება — ხელშეკრულებით.

დამატებითი ცნობები საღამოს საათებში ტელეფონით 23-24-32.

ტურისტული მოგზაურობები საბჭოთა მანეთებში

ფირმა „ზეპსი“ გთავაზობთ:

პრესტიჟულ კრუიზს გერმანიაში, ნორვეგიული წარმოების თბომავლით „ანა კარენინა“, — მარშრუტით: ლენინგრადი-კილი-ლენინგრადი. კრუიზის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამას ემატება ორი დღის განმავლობაში ლენინგრადში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება. ორადგილიან კაიუტაში ერთი საგზურის მინიმალური ფასი 10890 მანეთია. ამ ფასში გათვალისწინებულია ტურისტთა ყველა ხარჯები თბილისიდან თბილისამდე. მანქანების ყიდვის შემთხვევაში ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მათი გემზე დადებისა. ჯგუფები კომპლექტდება 1 და 15 ნომბრისთვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, შანიძის (ყოფილი კალანდის) ქ. № 3 (სასტუმრო „საქართველოსთან“)

მიღების საათები: 11-დან 18 სთ-მდე. დასვენების დღე კვირა. ტელ.: 23-15-58

ვიყიდი

ერთობიან იზოლირებულ ბინას ვარკეთილში ან ვაზისუბანში.

ცნობებისათვის მოგვმართეთ: 73-25-90.

მცვლი

ერთობიან იზოლირებულ ბინას ვაკიდან გლდანში 3-ოთახიან ბინაზე.

ტ. 67-51-67.

იყიდება

ავარაჯი ზობის რაიონის სოფელ ყულევში, ზობისწყლისპირას, ზღვასთან ახლოს, ოთხთავალი ხის სახლი ხეხილით გაშენებული ეზოთი, ციტრუსების — ლიმონისა და მანდარინის ვრცელი ბაღით, საწიწილეთი და სხვადასხვა ნაგებობებით.

ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. წყალტუბო, კლდიაშვილის ქ. № 7, ტელეფონი: 2-25-06.

მცვლი

გლდანის რაიონში საბოცტნე ნაკვეთს კაპიტალური სახლით, ერთ ოთახიან იზოლირებულ ბინაში თბილისის ნებისმიერ რაიონში.

ტ. 37-06-64.

ვიქირავებ

ერთ ოთახიან იზოლირებულ ბინას სასურველია საბურთალოს ან ვაკის რაიონი.

ცნობებისათვის: ტ 37-06-64.

სალომონა ვერელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-81; პახუხიზმებელი მდივანი — 93-81-58; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამოცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კობტაძის 14, იბეჭდება ოფტეტური წესით საგაზეთო კორპუსში სოხარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი

მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380096 მ. კობტაძის ქ. № 14.